



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# საზედამხედველო სტრატეგია

---

2023-2025

2025 წლის გამოცემა



# საზედამხედველო სტრატეგია

2023-2025

2025 წლის გამოცემა

# სარჩევი

|   |    |
|---|----|
| საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართვა  | 3  |
| რას ეფუძნება საზედამხედველო სტრატეგია?  | 4  |
| ვის შეეხება საზედამხედველო სტრატეგია?   | 6  |
| საზედამხედველო მანდატი, მისია, ხედვა  | 8  |
| კულტურა და ფასეულობები  | 9  |
| საზედამხედველო რეჟიმი და ხედვა ინოვაციებთან დაკავშირებით                                  | 10 |
| საოპერაციო გარემოს აქტუალური გამოწვევები  | 13 |
| საზედამხედველო სტრატეგიის შესრულებლობის რისკები   | 14 |
| სტრატეგიის განახლების პერიოდულობა და ფორმატი  | 14 |
| 2023-2025 წლების საზედამხედველო პრიორიტეტები  | 15 |
| საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება და შედეგებზე პროაქტიული რეაგირება | 16 |
| საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა  | 19 |
| ფინანსური ინოვაციების წახალისება და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება              | 22 |
| საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება  | 26 |
| ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა                 | 29 |
| სამოქმედო გეგმა   | 31 |
| 2024 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და სტრატეგიის შესრულების ანგარიში                       | 34 |
| გამოყენებული ტერმინები და აბრევიატურები   | 65 |

# საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართვა



საქართველოს ეროვნული ბანკი ტრადიციას განაგრძობს და 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის 2025 წლის გამოცემას აქვეყნებს. აღნიშნული დოკუმენტით საზედამხედველო პრიორიტეტებისა და გასული წლის შესაბამისი ამოცანების შესრულების ანგარიშთან ერთად, ეროვნული ბანკი საზოგადოებას წარუდგენს საზედამხედველო სტრატეგიით გათვალისწინებული მიმართულებების ფარგლებში მომდევნო 12 თვის ძირითად ამოცანებს.

არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტი გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების მიღმა, ხელს უწყობს ეროვნული ბანკის საქმიანობის ეფექტიან დაგეგმვას, თანამშრომლებისათვის სამომავლო ხედვის ცხადად ჩამოყალიბებას, დაგეგმილ აქტივობებზე სექტორისთვის პროგნოზირებადობის ზრდას, ინვესტორებისათვის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისათვის და სარეიტინგო კომპანიებისთვის, მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტებსა და გეგმებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი პრაქტიკას არ ღალატობს და 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის<sup>1</sup> 2025 წლის გამოცემას აქვეყნებს.

როგორც 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიაში აღინიშნა, ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტები სამი წლის მანძილზე უცვლელი რჩება. შესაბამისად, ბანკი 2025 წელსაც საზედამხედველო მიმართულებით თავის საქმიანობას შემდეგი ხუთი პრიორიტეტის გათვალისწინებით წარმართავს:

- ◆ საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება და შედეგებზე პროაქტიული რეაგირება;
- ◆ საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა;
- ◆ ფინანსური ინოვაციების წახალისება და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება;
- ◆ საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება;
- ◆ ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა.

საზედამხედველო სტრატეგიის 2025 წლის გამოცემა აქცენტს აკეთებს მომდევნო 12 თვის პერიოდში განსაზღვრული საზედამხედველო პრიორიტეტების მიღწევის სამოქმედო გეგმაზე, შესაბამის აქტივობებზე და მათი შესრულების ვადებზე, ისევე როგორც საზედამხედველო სტრატეგიის შესრულების 2024 წლის ანგარიშზე.

2024 წლის ფარგლებში საზედამხედველო სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მოკლე ანგარიში მოცემულ დოკუმენტშია წარმოდგენილი, ხოლო ეროვნული ბანკის საქმიანობისა და მაჩვენებლების შესახებ უფრო ვრცელი ინფორმაცია ეროვნული ბანკის 2024 წლის წლიურ ანგარიშში<sup>2</sup> შეგიძლიათ იხილოთ.

**ნათია თურნავა**  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

1. საქართველოს ეროვნული ბანკის 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).  
2. ეროვნული ბანკის მიერ განული საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია აისახება ეროვნული ბანკის წლიურ ანგარიშებში, რომლებიც ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის [ვებგვერდზე](#).

## რას ეფუძნება საზღადაზხედველო სტრატეგია?

2023-2025 წლების საზღადაზხედველო სტრატეგის შემუშავებისას, ეროვნულმა ბანკმა საზღადაზხედველო პრიორიტეტების განსაზღვრისას შემდეგი ფაქტორები გაითვალისწინა:

- ◆ საფინანსო სექტორის საქმიანობის ზედაზხედველობისა და რეგულირების ძირითადი მიმართულებები;<sup>3</sup>
- ◆ საერთაშორისო პარტნიორებისგან მიღებული რეკომენდაციები<sup>4</sup> და ნაკისრი ვალდებულებები<sup>5</sup>;
- ◆ საერთაშორისო პრაქტიკისა და ტენდენციების ანალიზი;<sup>6</sup>
- ◆ კერძო სექტორისგან მიღებული მოსაზრებები და რეკომენდაციები, მათ შორის, გამოქვეყნებული კითხვარისა<sup>7</sup> და საზღადაზხედველო სტრატეგის პირველადი დოკუმენტი<sup>8</sup> ფარგლებში მიღებული მოსაზრებები;
- ◆ საზღადაზხედველო მანდატის ფარგლებში გამოვლენილი საჭიროებები, არსებული რისკები და გამოწვევები.

საკუთარი საქმიანობის ფარგლებში, ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს, უზრუნველყოს, რომ საფინანსო სისტემა იყოს **დაცული დღეს და მზად ხვალისთვის**. შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები და დაგეგმილი აქტივობები აღნიშნულ მიზნებზეა მორგებული და დაფუძნებული.



### დაცული დღეს

ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა საზოგადოების ნდობა საფინანსო სექტორის სიჯანსაღისა და სტაბილურობის მიმართ. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ფინანსური ინტერესების დასაცავად და საფინანსო სექტორის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი საკმაოდ დიდ რესურსს მიმართავს. ამ მიზნით:

- ◆ საზღადაზხედველო აქტივობები წარიმართება რისკზე დაფუძნებული ზედაზხედველობის პრინციპებით<sup>9</sup>, ხოლო მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით, არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს მიღმა, დამატებით გამოიყენება რისკზე დაფუძნებული ზედაზხედველობის პრინციპები;

3. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2022 წლის 4 ნოემბრის N23 განკარგულება "საფინანსო სექტორის საქმიანობის ზედაზხედველობისა და რეგულირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის თაობაზე".

4. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ეროვნული ბანკისათვის მიცემული რეკომენდაციები ხელმისაწვდომია შესაბამისი ორგანიზაციების ვებგვერდებზე (IMF; Worldbank).

5. ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით და განზრახვის წერილით (Letter of Intent) განსაზღვრული ვალდებულებები.

6. ეროვნული ბანკი მუდმივად ადევნებს თვალს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და ტენდენციებს, შეისწავლის მათ და ახდენს არსებული მარეგულირებელი ჩარჩოსა და პრაქტიკის საჭიროებისამებრ ადაპტირებას.

7. 2023-2025 წლების საზღადაზხედველო სტრატეგის დოკუმენტის შემუშავების პროცესში კერძო სექტორისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნდა კითხვარი, რომლის ფარგლებში ყველა მსურველს შეეძლო მონაწილეობა მიეღო საზღადაზხედველო სტრატეგის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში და წარმოედგინა მოსაზრებები და რეკომენდაციები. კითხვარი ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

8. 2023-2025 წლების საზღადაზხედველო სტრატეგის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ეროვნულმა ბანკმა 2023-2025 წლების საზღადაზხედველო სტრატეგის პირველადი დოკუმენტი საჯარო განხილვისთვის გამოაქვეყნა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

9. ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების ზედაზხედველობასა და რეგულირებას რისკზე დაფუძნებული ზედაზხედველობის პრინციპების დაცვით წარმართავს. ეროვნული ბანკის საზღადაზხედველო რეჟიმისა და თითოეული პრინციპის განმარტება შეგიძლიათ იხილოთ როგორც მოცემულ დოკუმენტში, ისე შემდეგ ბმულზე.

- ◆ გადაწყვეტილების მიღება ხდება მონაცემთა ერთობლიობის საფუძველზე;
- ◆ პრუდენციული რეგულირების არქიტექტურა იხვეწება მუდმივ რეჟიმში, რათა პასუხობდეს მიმდინარე გამოწვევებს;
- ◆ შექმნილია თანამედროვე და მოქნილი სამუშაო გარემო, რომელშიც მუშაობს მაღალპროფესიონალთა გუნდი და რომელიც მზადაა იმოქმედოს ახალი და მოულოდნელი გამოწვევების დასაძლევად და მოახდინოს დროული და მყისიერი რეაგირება.



## მზად ხვალისთვის

რამდენადაც საფინანსო სექტორი სწრაფი ტემპით ვითარდება, ეროვნული ბანკი მუშაობს დღეს იმისთვის, რომ ფინანსური სისტემა იყოს მზად ხვალისთვის. ამ მიზნით:

- ◆ ეროვნული ბანკი მუდმივად აკვირდება ბაზრის სიახლეებს და შეისწავლის რისკებს, ახდენს ფინანსური აქტივობებისა და მისი მონაწილეების ანალიზს შემდგომი რეგულირების საჭიროების გამოსავლენად;
- ◆ საზედამხებველო სუბიექტებთან ერთად ცდილობს იპოვოს გადაწყვეტები და გზები მნიშვნელოვანი გამოწვევებისთვის;
- ◆ უზრუნველყოფს, რომ მარეგულირებელი ჩარჩო მუდმივად იხვეწებოდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- ◆ მუდმივად ზრუნავს მომხმარებელთა ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე, მათ შორის, საფინანსო სექტორში მომხმარებლის უფლებების დაცვის პრაქტიკის გაუმჯობესებაზე.



## ძლიერი მხარეები და უპირატესობები

დასახული პრიორიტეტებისა და მიზნების შესრულებისას, ეროვნული ბანკი ეყრდნობა თავის ძლიერ მხარეებსა და უპირატესობებს, კერძოდ:

- ◆ **თანამშრომლები და ღირებულებები** – ეროვნულ ბანკს ჰყავს მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და მოტივირებული თანამშრომლები, ცხადი მიზნებითა და მკაფიო ღირებულებებით. ეროვნული ბანკის თანამშრომლები იზიარებენ ეროვნული ბანკის ღირებულებებს.
- ◆ **სიღრმისეული საზედამხებველო ხედვა და ინფორმირებულობა** – ეროვნული ბანკის ზედამხებველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებთან აქტიური ჩართულობისა და რეგულარული კომუნიკაციის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი ფლობს უნიკალურ და სიღრმისეულ ცოდნასა და ხედვას სექტორისა და სუბიექტების რისკებთან დაკავშირებით.
- ◆ **სექტორის სისტემური პერსპექტივიდან შეფასება** – სექტორსა და რისკებზე ზედმიწევნითი ინფორმირებულობის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი მუდმივად ინარჩუნებს სისტემურ ხედვას ზედამხებველობას დაქვემდებარებულ სექტორებთან მიმართებით.
- ◆ **მძლავრი მარეგულირებელი უფლებამოსილებები** – ბოლო წლებში განხორციელებულმა რეფორმებმა და მნიშვნელოვანმა საკანონმდებლო ცვლილებებმა კიდევ უფრო გააძლიერა ეროვნული ბანკის საზედამხებველო და მარეგულირებელი უფლებამოსილებები, რაც ფაქტორია სექტორისა და სუბიექტების რისკებსა და სისუსტეებზე დროული და ეფექტური რეაგირებისთვის.

## ვის შეეხება საზედამხედველო სტრატეგია?

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, მიკრობანკების, საბანკო ჯგუფების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული სანარმოების, საპენსიო ფონდის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, საინვესტიციო ფონდების, ავტორიზებული სეკიურტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულების, საგადახდო სისტემის ოპერატორების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, სესხის გამცემი სუბიექტებისა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საქმიანობას.


ეროვნული ბანკი ხელს უწყობს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, სისტემური რისკის კონტროლსა და რისკების შემცირებას. პრუდენციული ზედამხედველობის რეჟიმი ორიენტირებულია მთლიანი ფინანსური სისტემის მდგრად ფუნქციონირებაზე.

პარალელურად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფარგლებში იმავე მიდგომების არსებობა, კერძოდ, შემუშავებული რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო პრაქტიკის დანერგვა, საშუალებას აძლევს მარეგულირებელ ორგანოს უფრო გლობალურად და მასშტაბურად შეისწავლოს სექტორში არსებული პრობლემები და სექტორის მხრიდან მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მომხმარებელზე მორგებული გარემოს გაუმჯობესებას.


აღნიშნული საზედამხედველო სტრატეგია შეეხება ეროვნული ბანკის მხოლოდ ზოგიერთ საზედამხედველო სუბიექტს, კერძოდ, კომერციულ ბანკს, მიკრობანკს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, საკრედიტო კავშირს, ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, სესხის გამცემ სუბიექტს, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს. აღნიშნული სუბიექტები ამ დოკუმენტის მიზნებისთვის ერთობლივად იწოდებიან როგორც საფინანსო სექტორი/საფინანსო სექტორის წარმომადგენლები. ეროვნული ბანკის ცალკეული საზედამხედველო მიმართულებების კუთხით, შესაბამის სუბიექტებსა თუ მიმართულებებზე მორგებული სტრატეგიები აღნიშნული სტრატეგიისგან დამოუკიდებლადაც მზადდება და ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.



**ცხრილი N1<sup>10</sup> - საფინანსო სექტორის წარმომადგენლები (რაოდენობის მიხედვით)**



**ცხრილი N2<sup>11</sup> - საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა წილი ბაზარზე აქტივების მიხედვით (ლარში)**



10. ცხრილი ასახავს იმ საზღაბმედელო სუბიექტების რაოდენობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებსაც აღნიშნული დოკუმენტი შეეხება. სუბიექტების რაოდენობები ცვალეზადია და დამოკიდებულია სუბიექტების ლიცენზირება/რეგისტრაციასა და ლიცენზიის/რეგისტრაციის გაუქმებაზე. პერიოდულად განახლებადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე. (კომერციული ბანკები, მიკრობანკები, არასაბანკო დაწესებულებები, საკრედიტო ბიურო)

ამასთან, საგულისხმოა, რომ ამ დოკუმენტის გამოქვეყნების თარიღისთვის, ლიცენზირებულია 2 მიკრობანკი და რეგისტრირებულია 2 საკრედიტო საინფორმაციო ბიურო.

11. ცხრილი ასახავს ცალკეული საზღაბმედელო სუბიექტების წილს ბაზარზე ეროვნულ ვალუტაში მათი აქტივების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: საბანკო სექტორი - 95,830.4 მილიონი ლარი, საიდანაც 145.8 მილიონი ლარი შეადგენს აღნიშნული დროისთვის ლიცენზირებული მიკრობანკის აქტივებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები - 2,266.7 მილიონი ლარი, სესხის გამცემი სუბიექტები - 590.1 მილიონი ლარი, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები - 89.3 მილიონი ლარი, საკრედიტო კავშირი - 0.5 მილიონი ლარი.

## საზედამხედველო მანდატი, მისია, ხედვა



### მანდატი

საფინანსო სექტორის ზედამხედველობის თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული ბანკის კანონმდებლობით განსაზღვრული ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა.



### მისია

მდგრადი და ჯანსაღი საფინანსო სექტორის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც ღიაა კვალიფიციური ინვესტორებისთვის სადაც უზრუნველყოფილია კონკურენტუნარიანი გარემო და დაცულია მომხმარებელთა ინტერესები.



### ხედვა

მაღალ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი, დინამური, ინოვაციური, მოქნილი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური ცენტრალური ბანკი, რომელიც ფინანსური სტაბილურობის დაცვის და გამჭვირვალობის გზით ხელს უწყობს მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცულობასა და საზოგადოების ფინანსურ განათლებას. იმსახურებს საზოგადოების, კოლეგებისა და საზედამხედველო სუბიექტების ნდობასა და პატივისცემას.

# კულტურა და ფასეულობები

მანდატის, მისიისა და ხედვის რეალიზებისთვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურა, რაც გულისხმობს ეროვნული ბანკის თანამშრომლების მიერ საერთო მიზნებისა და ფასეულობების გაზიარებას და მათზე დაყრდნობით გუნდურ მუშაობას.

## პროფესიონალიზმი

- ◆ საქმის სიღრმისეული ცოდნა
- ◆ მუდმივი ზრუნვა განვითარებაზე, ინოვაციური მიდგომების დანერგვაზე



## კატიოსნება

- ◆ საზოგადოებაში აღიარებული სოციალური, ეთიკური და პროფესიული სტანდარტების ერთგულება



## განვითარებაზე ორიენტაცია

- ◆ მუდმივი სწრაფვა საქმიანობის, გარემოს და საკუთარი შესაძლებლობების გაუმჯობესებისკენ



## გუნდურობა

- ◆ დასახული მიზნების მიღწევისთვის გუნდური მუშაობის უპირატესობის აღიარება
- ◆ ეფექტურად მოქმედება გუნდში



## ნდობა და ორმხრივი კავშირისცემა

- ◆ ორგანიზაციის შიგნით და მის გარეთ თანამშრომლობის წარმართვა გულწრფელად, ღირსეულად, სხვისი მოსაზრებისა და შეხედულების პატივისცემით
- ◆ ურთიერთობისას საიმედოობისა და სანდოობის განცდის დატოვება




გარდა მოცემული ღირებულებებისა, დიდი ყურადღება ექცევა ღიაობასა და გამჭვირვალობას, რა თქმა უნდა, კონფიდენციალურობის პრინციპისა და აღნიშნულთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმების დაცვით.

# საზედამხედველო რეჟიმი და ხედვა ინოვაციებთან დაკავშირებით

ეროვნულ ბანკში მოქმედი საზედამხედველო რეჟიმი და პრინციპები, ისევე როგორც ხედვა ინოვაციებთან დაკავშირებით კვლავ უცვლელი რჩება.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გარემოს მუდმივი ცვალებადობის გათვალისწინებით, ამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მიდგომები ბაზარზე არსებული გამოწვევების საპასუხოდ სისტემატიურად უმჯობესდება და იხვეწება.


## საზედამხედველო პრინციპები



- ✦ **მატერიალურ რისკებზე კონცენტრირება** – რისკებზე მათი მატერიალურობის პროპორციულად ფოკუსირება, კერძოდ, კონცენტრაცია ისეთ რისკებზე, რომლებიც ყველაზე არსებით საფრთხეს უქმნის ფინანსური სექტორის სტაბილურობას ან დეპოზიტორების, კრედიტორებისა და ინვესტორების ფინანსური სახსრების დაცულობას (შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით);
- ✦ **მომავალზე ორიენტირებული მიდგომა** – საფინანსო სექტორის საფრთხეებისა და პრობლემების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება და მათ აღმოსაფხვრელად სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიებების დროული გამოყენება;
- ✦ **დიალოგი რეგულირებად ფინანსურ ინსტიტუტებთან** – აღნიშნული საშუალებას აძლევს ზედამხედველს, გაეცნოს ფინანსური ინსტიტუტის შიდა კულტურას, სტრატეგიასა და მოტივაციას, ხელს უწყობს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას, და, ასევე, რისკების მართვის დახვეწას;
- ✦ **მიკრო და მაკროპრუდენციული ზედამხედველობის კოორდინაცია** – ზედამხედველობის პროცესში მიკროპრუდენციული ანალიზისას ჯამურად ფინანსური სექტორის მიმდინარე სისტემური ხასიათის რისკების, მათი შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების, ბიზნეს და საკრედიტო ციკლებისა და მაკროპრუდენციული პოლიტიკის სხვა საკითხების გათვალისწინება;

- ◆ **თანმიმდევრულობა, შესაბამისობა და თავსებადობა, ერთი და იმავე საქმიანობისა და რისკის მიმართ ერთგვაროვანი რეგულირება** – ფინანსური ინსტიტუტებისთვის დაწესებულ მოთხოვნებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა, ერთნაირი მახასიათებლების მქონე ინსტიტუტებთან დაკავშირებული გადანაცვლებების მიღების პროცესებსა და მათი რეგულირებისას ერთგვაროვანი მოთხოვნებისა და მიდგომების გამოყენება. პრინციპი გულისხმობს მსგავსი მარეგულირებელი მოთხოვნების დაწესებას კონკრეტული საბაზრო სეგმენტის წარმომადგენლებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ მათ ახასიათებთ ერთნაირი აქტივობები და რისკები. რისკებზე პროპორციული რეაგირება;
- ◆ **შიდა რესურსების ეფექტიანი გამოყენება** – რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო პროცესი და პრინციპებზე დაფუძნებული რეგულირება, რაც გულისხმობს საზედამხედველო რესურსების ყველაზე ეფექტიან გამოყენებას და წესებთან შესაბამისობის პასიური შეფასების პროცესის ნაცვლად რისკებსა და მათი მიტიგაციის პრაქტიკულ გზებზე ფოკუსირებას.

ეროვნული ბანკის ხედვა ინოვაციებთან დაკავშირებით გარკვეულწილად ემყარება ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრინციპებს, განსაკუთრებით, რისკებზე ორიენტირებული მიდგომის მხრივ.



**ინოვაციების წახალისება და იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა** – ეროვნული ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს ინოვაციების წახალისებისა და მათ მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობას, რისთვისაც სხვადასხვა საზედამხედველო მიდგომას ავითარებს და ჩართულია ფინტექ საქმიანობისათვის საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნაში, რომელიც ორი ვექტორისაგან შედგება, ესენია ფინანსური ინფრასტრუქტურის და საზედამხედველო ჩარჩოს განვითარება.

**ღია რეგულირება** – საზედამხედველო მიდგომა ღიაა ახალი იდეებისა და ინიციატივების მიმართ, რომლებიც ფინანსური ბაზრის განვითარების მიზნებს ემსახურება და ამასთან, არ ზრდის ფინანსური სტაბილურობისა და სისტემის რისკს. ნებისმიერ პირს, რომლის ინოვაციურ იდეას შესაძლებელია ეროვნული ბანკის საზედამხედველო ტექნიკა აფერხებდეს, რეგულირების განსავითარებლად შეუძლია საერთაშორისო პრაქტიკასა და ადგილობრივ ფაქტებზე დაფუძნებული დასაბუთების ეროვნული ბანკისთვის წარდგენა.<sup>12</sup>

12. ღია რეგულირების ჩარჩოსა და მისი ელემენტების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

**რისკების მიმართ ტექნოლოგიური ნეიტრალურობა** – საზედამხედველო მიდგომა რისკების მიმართ ტექნოლოგიურად ნეიტრალურია. ეროვნული ბანკისათვის მნიშვნელოვანია ფინანსური სისტემის სტაბილურობაზე ამა თუ იმ გადაწყვეტის ზეგავლენა გამოყენებული ტექნოლოგიური საშუალებების სახეობის მიუხედავად. ერთსა და იმავე რისკზე ერთნაირი საზედამხედველო მოთხოვნა ვრცელდება, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის ტექნოლოგიურ პროცესს ეფუძნება ფინანსური ინსტიტუტის ბიზნეს-მოდელი.

**მომხმარებელთა უფლებების დაცვა** – როდესაც ინოვაციური პროდუქტები თავის თავში მოიცავს სიახლეს, მომხმარებლებისთვის შესაძლოა რთული იყოს ახალი პროდუქტებისა და მათი მახასიათებლების აღქმა/გაცნობა, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ინფორმაციის გამჟღავნების ნაწილში მომხმარებელთა უფლებების მონიტორინგის გამკაცრება და ასევე, ფინანსური ინსტიტუტების წახალისება უნდა მოხდეს იმისთვის, რომ შეიმუშაონ მომხმარებელთა დაცვის შესაბამისი მიდგომები, როგორც მათი პროდუქტის განვითარების აქტივობების ნაწილი. გარდა ამისა, რადგან ინოვაციური პროდუქტები შესაძლოა განსაკუთრებით რთულად გასაგები და აღსაქმელი იყოს საცალო მომხმარებლებისთვის, მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების როლიც მსგავსი პროდუქტების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

**უცნობი რისკების შესწავლა** – ახალი ფინანსური ტექნოლოგიების რისკი და პოტენციური გავლენა ხშირად უცნობია, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. რისკებზე ორიენტირებული მიდგომა ასეთი ტექნოლოგიის გამოყენების საშუალებას არ იძლევა. რისკის დასადგენად ეროვნულ ბანკს შეუძლია რეგულირების ლაბორატორიის გამოყენება. აღნიშნული გულისხმობს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ კონტროლირებად გარემოში ფინანსური ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა ტესტის ჩატარებასა და შედეგების ზედამხედველთან განხილვას. რეგულირების ლაბორატორია ძირითადად ორიენტირებულია სისტემური რისკების გამოვლენაზე.

**ბალანსი ინოვაციებსა და რისკებს შორის** – ფინანსური ინოვაციების სწრაფი განვითარება და რისკების შემცირება ხშირად შეიძლება ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს. ეროვნული ბანკის ხედვა გულისხმობს ფინანსური ბაზრის განვითარებასა და რისკებს შორის ოპტიმალური ბალანსის გაუმჯობესებაზე მუდმივ ზრუნვას.

**პირდაპირი კომუნიკაცია და ინდივიდუალური უკუკავშირი** – ინოვაციების წახალისების მიზნით, ეროვნული ბანკი მზადაა დაინტერესებულ მხარეებთან პირდაპირი კომუნიკაციისა და ინდივიდუალური უკუკავშირისთვის, რაც გულისხმობს ფინანსური ტექნოლოგიების თაობაზე საზედამხედველო მიდგომებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე დროულ და დეტალურ კომუნიკაციას და ამასთანავე, შესაძლებლობას, რომ დაინტერესებულმა მხარემ მიიღოს უკუკავშირი, რომელიც მორგებულია მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

## საოპერაციო გარემოს აქტუალური გამოწვევები

საოპერაციო გარემოს გამოწვევებს შეუძლია გავლენა მოახდინოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო საქმიანობაზე, საზედამხედველო სტრატეგიის შეუსრულებლობაზე, დაგეგმილი აქტივობების გადავადებასა თუ მოდიფიცირებაზე. გარემომ შესაძლოა არარელევანტურიც კი გახადოს ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრული საზედამხედველო პრიორიტეტები და დაგეგმილი აქტივობები.

ეროვნული ბანკის დინამიური საოპერაციო გარემოსთვის დამახასიათებელმა ტენდენციებმა, გამოწვევებმა და გარკვეულმა რისკებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს ამ დოკუმენტით განსაზღვრულ პრიორიტეტებზე/სამოქმედო გეგმაზე, დაგეგმილ აქტივობებსა და მათი შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადებზე. ასეთ გამოწვევებზე სათანადო რეაგირებისა და საზედამხედველო მანდატის ეფექტურად შესრულების მიზნით, ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას შეცვალოს/დააკორექტიროს აღნიშნული პრიორიტეტები/აქტივობები ან/და მათი შესრულების ვადები.

ეროვნული ბანკის მიერ იდენტიფიცირებული საოპერაციო გარემოს აქტუალური გამოწვევები მრავალმხრივია და მათ შორისაა:

- ◆ არაფინანსური და განვითარებადი რისკები;
- ◆ ცვლილებები ინდუსტრიაში, მათ შორის, ახალი ბიზნეს-მოდელები;
- ◆ კრიპტო აქტივებისა და კრიპტო ვალუტის აქტუალობის სწრაფი ზრდა;
- ◆ ტექნოლოგიური სიახლეები და კიბერდანაშაულები;
- ◆ ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, გადინება და სხვა რელევანტური ელემენტები;
- ◆ პოლიტიკური გარემო და გარე შოკები;
- ◆ გლობალიზაცია და დიჯიტალიზაცია;
- ◆ თანამშრომლობითი კულტურა;
- ◆ ფინანსური სექტორის მომხმარებელთა ქცევისა და მათი პრიორიტეტების ცვლილება და სხვა.

## საზედამხედველო სტრატეგიის შესრულებლობის რისკები

საოპერაციო გარემოს გამოწვევების გარდა, საზედამხედველო სტრატეგიის/მისი გარკვეული ნაწილების შესრულებლობაზე ზეგავლენა შესაძლოა მოახდინოს სხვა რისკებმა და გარე ფაქტორებმაც, მათ შორისაა:

- ◆ ფორსმაჟორული სიტუაციების ან ეროვნული ბანკისათვის მოულოდნელი, სხვა გარე ფაქტორებით გამოწვეული ისეთი სახის ცვლილებები პრიორიტეტებში, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული საზედამხედველო სტრატეგიაში;
- ◆ სტრატეგიის აღსრულებისთვის საჭირო აუცილებელი თანამშრომლების მოზიდვისა და შენარჩუნების რისკები;
- ◆ ეროვნული ბანკის ინფრასტრუქტურის იმგვარი ხარვეზები/დაზიანება ან არქონა, რაც აფერხებს ეროვნული ბანკის ნორმალური საქმიანობის პროცესებს.



თანამშრომლების მოზიდვისა და შენარჩუნების რისკები



ინფრასტრუქტურის ხარვეზები და ნორმალური საქმიანობის პროცესების შეფერხება



ფორსმაჟორული სიტუაციების მოულოდნელი ცვლილებები

## სტრატეგიის განახლების კერიოდულობა და ფორმატი

საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტი განახლდება ყოველწლიურად, შესაბამისი წლის გამოცემის საშუალებით. აღნიშნული გულისხმობს არა საზედამხედველო პრიორიტეტების ყოველწლიურ ცვლილებას, არამედ მათი მიღწევისთვის დასახული სამოქმედო გეგმის/სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების და მათი შესრულების ვადების შესაძლო ცვლილებას, რათა ეფექტურად მოხდეს საზედამხედველო მანდატისა და მისი რეალიზება. საოპერაციო გარემოს აქტუალური გამოწვევებისა და სტრატეგიის შესრულების რისკების გათვალისწინებით კი ზოგიერთი აქტივობა შესაძლოა მოდიფიცირდეს/დაემატოს/მიჩნეულ იქნას არარელევანტურად.



# 2023-2025 წლების საზღვაო საზღვაო პრიორიტეტები

2024 წლის მსგავსად, 2025 წელსაც საზღვაო საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტის ფარგლებში, ეროვნული ბანკის საქმიანობა უცვლელად, იმავე პრიორიტეტებს დაეფუძნება.



## საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება და შედეგებზე პროაქტიული რეაგირება

საფინანსო სექტორის რისკების შეფასების გაუმჯობესება და იდენტიფიცირებულ რისკებზე პროაქტიული რეაგირება პრიორიტეტულია. ამ პრიორიტეტის შესრულებას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობებით გეგმავს:

- ◆ საფინანსო სექტორის არაფინანსური რისკების, მათ შორის, კიბერუსაფრთხოების, კლიმატის ცვლილების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და მოდელების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების სისტემების დახვეწა და შესაბამისი საზღადაზმედეველო პოლიტიკების შემუშავება, მათ შორის:
  - კლიმატის ცვლილების რისკ სცენარებისა და სტრეს-ტესტის ჩარჩოს შემუშავება;
  - ღრუბლოვანი გამოთვლითი მოდელის სახელმძღვანელოს ამოქმედება;<sup>13</sup>
  - კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულების განახლება;
  - კომერციული ბანკებისთვის საოპერაციო და კიბერრისკის სტრეს-ტესტების მოთხოვნების განსაზღვრა;
  - კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს განახლებული მოთხოვნების განსაზღვრა.
- ◆ საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფარგლებში არსებული პრაქტიკებისა და საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს აღსრულების მონიტორინგის მიზნით, რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამისი პოლიტიკა-პროცედურებისა და მიდგომების შემუშავება და დანერგვა;
- ◆ რისკების მართვის ხარისხის ზრდის მიზნით, საფინანსო სექტორში გენდერული მრავალფეროვნების ხელშეწყობა;
- ◆ ბანკების შიდა კაპიტალისა და ლიკვიდობის ადეკვატურობის შეფასების პროგრამების (ICAAP & ILAAP) ფარგლებში, კაპიტალის, ლიკვიდობისა და ორგანიზაციის რისკების მართვის ჩარჩოსა და პრაქტიკის შეფასება. ასევე, ICAAP-ის შეფასების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების ჩარჩოში ინტეგრაციის მიდგომის განსაზღვრა;
- ◆ საფინანსო სექტორის გარე შოკების მიმართ მდგრადობის შეფასება, მათ შორის, სტრეს-ტესტების ჩატარების გზით და შედეგების შესაბამისი ჩარჩოში ასახვა ფინანსური სექტორის მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით;
- ◆ კომერციული ბანკების სტრეს-ტესტების 2022 წლის რაუნდის ჩატარება და შედეგების ანალიზი;
- ◆ კომერციული ბანკების 2025 წლის სტრეს-ტესტების რაუნდისთვის მოსამზადებელი სამუშაოების წარმართვა, სტრეს-ტესტების რაუნდის ჩატარება და შედეგების ანალიზი;
- ◆ სტრეს-ტესტების სახელმძღვანელოს განახლება IFRS სტანდარტზე გადასვლით გამოწვეული ცვლილებების ასახვის მიზნით;

13. აღნიშნულ აქტივობაში მოაზრებულ უნდა იქნას ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი აუტსორსინგული მომსახურების გამოყენების სახელმძღვანელოს შემუშავება და ამოქმედება.

- ◆ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რისკების შეფასების საფუძველზე მათთვის საოპერაციო რისკების, კიბერუსაფრთხოებისა და კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემუშავება;
- ◆ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის ცვლილება;<sup>14</sup>
- ◆ კომერციული ბანკების სხვადასხვა მიმართულებას (მათ შორის, კორპორატიულ ბანკინგის, საინვესტიციო ბანკინგის, სადაზღვევო, საბროკერო, აქტივების მართვის) შორის ინფორმაციული მიჯნისა და კორპორაციული მართვის საკითხების შეფასება, რისკების ანალიზი და იდენტიფიცირებული რისკებისა და ზომების შესაბამის სტრატეგიასა და საზედამხებველო ხედვაში ასახვა;
- ◆ რისკებზე დაფუძნებული საზედამხებველო რეჟიმის, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისა და სისუსტეების, საზედამხებველო ზომებისა და სხვა მატერიალური საკითხების თაობაზე კომერციულ ბანკებთან (მათ შორის, უმაღლეს მენეჯმენტთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან) პირდაპირი და ეფექტური კომუნიკაციის დახვეწა;
- ◆ კომერციული ბანკების მსგავსად, ზედამხებველობას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტების ზედამხებველობის რეჟიმის პროპორციული გადაყვანა რისკებზე დაფუძნებულ პრინციპებზე;
- ◆ კომერციული ბანკების რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ფუნქციების (მათ შორის, შიდა აუდიტი) ეფექტურობის ხარისხობრივი შეფასება და იდენტიფიცირებულ ხარვეზებსა და სისუსტეებზე შესაბამისი ზომების მიღება;
- ◆ განგრძობით რეჟიმში კომერციული ბანკების მიერ შემუშავებული გაჯანსაღების გეგმების პროაქტიული შეფასება და შესაბამისი კომუნიკაცია;
- ◆ უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიების დაფინანსებისა და დაუსრულებელი/მშენებარე უძრავი ქონების შესაძენად იპოთეკური სესხების გაცემის პრინციპების<sup>15</sup> თაობაზე გაიდლაინის შემდგომი გაუმჯობესება;
- ◆ ინტერესთა კონფლიქტის მართვის სტანდარტების დახვეწა;
- ◆ საკრედიტო რისკების მართვის დებულების შემუშავება და ძირითადი პრინციპების განსაზღვრა;
- ◆ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის გადახდისუნარობის/გაკოტრების სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება;
- ◆ საკანონმდებლო ცვლილებების გზით დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის;
- ◆ კომერციული ბანკებისთვის მონაცემთა ხარისხის მართვის მოთხოვნების დაწესება.

14. აღნიშნული აქტივობა დაემატა საზედამხებველო სტრატეგიის სამოქმედო გეგმას, სექტორისთვის განჭვრეტადობის მიზნით.

15. გაიდლაინი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

შესრულებულია

01.01.2023

| პრიორიტეტი  | აქტივობა   | სამოქმედო გეგმა |     |      |     |      |     |
|---|--|-----------------|-----|------|-----|------|-----|
|   |  | 2023            |     | 2024 |     | 2025 |     |
|   |  | HY1             | HY2 | HY1  | HY2 | HY1  | HY2 |
| საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება და შედეგებზე პროაქტიული რეაგირება                 | კლიმატის რისკ სცენარებისა და სტრეს-ტესტის ჩარჩოს შემუშავება  | ■               | ■   | ■    | ■   |      |     |
|   | ღრუბლოვანი გამოთვლითი მოდელის სახელმძღვანელოს ამოქმედება   | ■               | ■   |      |     |      |     |
|   | კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულების განახლება   | ■               | ■   |      |     |      |     |
|   | კომერციული ბანკებისთვის საოპერაციო და კიბერ რისკის სტრეს-ტესტების მოთხოვნების განსაზღვრა   |                 |     |      |     |      |     |
|   | კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს განახლებული მოთხოვნების განსაზღვრა  |                 |     |      |     |      |     |
|   | მომხმარებელთა დაცვის მიმართულებით რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო სტრატეგიის შემუშავება  |                 |     |      |     |      |     |
|   | ბანკების ILAAP შეფასებები  |                 | ■   | ■    | ■   |      |     |
|   | ბანკების ICAAP შეფასებები  |                 |     |      |     |      |     |
|   | კომერციული ბანკების სტრეს-ტესტების 2022 წლის რაუნდის ჩატარება და შედეგების ანალიზი   | ■               | ■   |      |     |      |     |
|   | კომერციული ბანკების 2025 წლის სტრეს-ტესტების რაუნდისთვის მომზადება, ჩატარება და შედეგების ანალიზი  |                 |     |      |     |      |     |
|   | სტრეს-ტესტების სახელმძღვანელოს განახლება IFRS სტანდარტზე გადასვლით გამოწვეული ცვლილებების ასახვის მიზნით   |                 |     |      |     |      |     |
|   | მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის საოპერაციო რისკების, კიბერუსაფრთხოებისა და კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემუშავება   |                 |     |      |     |      |     |
|   | მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის ცვლილება                    |                 |     |      |     |      |     |
|   | უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიების დაფინანსებისა და დაუსრულებელი/მშენებარე უძრავი ქონების შესაძენად იპოთეკური სესხების გაცემის პრინციპების თაობაზე გაიდლაინის შემდგომი გაუმჯობესება |                 |     |      |     |      |     |
|   | ინტერესთა კონფლიქტის მართვის სტანდარტების დახვეწა  | ■               | ■   |      |     |      |     |
|   | საკრედიტო რისკების მართვის დებულების შემუშავება და ძირითადი პრინციპების განსაზღვრა   | ■               | ■   |      |     |      |     |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის გადახდისუნარობის/გაკოტრების სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება        |  |                 |     |      |     |      |     |
| საკანონმდებლო ცვლილებების გზით დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის |  |                 |     |      |     |      |     |
| კომერციული ბანკებისთვის მონაცემთა ხარისხის მართვის მოთხოვნების დანესება                                   |  |                 |     |      |     |      |     |

## საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა

საფინანსო სექტორში კონკურენციის ზრდის ხელშეწყობის მიზნით შესაბამის საზედამხებველო პოლიტიკებზე მუშაობა, ბაზრის მონიტორინგი და აღსრულების მექანიზმების დახვეწა, ისევე როგორც კვლევების ჩატარება და მათი შედეგების საზედამხებველო გადაწყვეტილების პროცესებში გათვალისწინება პრიორიტეტულია. ამ პრიორიტეტის შესრულებას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობებით გეგმავს:

- ◆ ახალი ტიპის საფინანსო ინსტიტუტის - მიკრობანკების საზედამხებველო ჩარჩოს შემუშავება;
- ◆ ფაქტორინგული ოპერაციების განმახორციელებელი პირებისა და სალიზინგო კომპანიების<sup>16</sup> ეროვნული ბანკის რეგულირების დაქვემდებარებაში მოქცევა და ამ მიზნით შესაბამისი საზედამხებველო ჩარჩოს შემუშავება;
- ◆ ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების განახლება და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება;
- ◆ კონკურენციის იმპლემენტაციისა და ხელშეწყობის პოლიტიკის შემდგომი დახვეწა და განვითარება პოლიტიკების პრაქტიკაში ეფექტური აღსრულების მიზნით;
- ◆ ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწა:
  - უნაღდო ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება;
  - საოპერაციო მოთხოვნების დამატებით გაუმჯობესება ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისათვის;
  - უახლესი ცვლილებების შედეგების ანალიზი და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრის წესში ცვლილებების განხორციელება.
- ◆ საფინანსო სექტორის შესაბამისი ბაზრ(ებ)ის მონიტორინგი, რაც არ შემოიფარგლება, მაგრამ მოიცავს კომბინირებულ ფინანსურ პროდუქტებთან დაკავშირებული საკითხებისა და პრაქტიკის შესწავლას და კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამის რეაგირებას, მათ შორის, ფინანსური სექტორის ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის კუთხით;
- ◆ ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის ჩარჩოს დახვეწა და პრაქტიკაში აღსრულების მექანიზმებზე მუშაობა;
- ◆ საფინანსო სექტორისთვის ახალი სამართლებრივი ინიციატივების ან/და აქტების შემოღებასთან დაკავშირებული ზეგავლენის გამარტივებული ფორმით შეფასების ინიცირება, რათა გაანალიზდეს ახალი ინიციატივების/აქტების მოსალოდნელი შედეგები კონკურენციაზე (შესაბამის ფინანსურ ბაზრებზე);
- ◆ ეროვნული ბანკის რეგულირებად სექტორებში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების მოკვლევის,

16. სამომავლოდ სალიზინგო კომპანიების ეროვნული ბანკის რეგულირების დაქვემდებარებაში მოქცევისა და შესაბამისი საზედამხებველო ჩარჩოს შემუშავების საკითხი დეტალურად შესაფასებელი და განსახილველია. საგულისხმოა, რომ ეროვნული ბანკს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არ გააჩნია, შესაბამისად, აქტივობის განხორციელებისთვის ვადების განსაზღვრა ეროვნული ბანკის პრეროგატივა არ არის.

ასევე კონცენტრაციების კონტროლის დამოუკიდებელი ინსტიტუციური ფუნქციის განვითარება, რათა მოხდეს კომპეტენციების კუთხით კონფლიქტის/თანხვედრის მინიმიზება;

- ◆ კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანად აღსრულების მიზნით, ქვეყნის შიგნით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავება (მათ შორის, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, მარეგულირებელი უწყებები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, სამინისტროები, პარლამენტი და სხვა);
- ◆ საფინანსო სექტორში კონკურენციის სამართლის აღსრულების საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა და გზამკვლევი დოკუმენტის შემუშავება;
- ◆ ძვირადღირებულ ინფრასტრუქტურაზე და მდიდარ მონაცემებზე მცირე მოთამაშეების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
- ◆ ბაზარზე ახალი მოთამაშეების გაჩენის წახალისება;
- ◆ მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონის მონიტორინგის და აღსრულების პროცესების ხელშეწყობა, მათ შორის, ჯარიმების წესებსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესაბამის მარეგულირებელ აქტებში ცვლილებების შეტანის გზით;
- ◆ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის არსებობა, რაც ხელს შეუწყობს კონკურენციის ნაწილში, ბაზრის ქცევის სწორად შეფასებასა და ინფორმაციის სწორად გაანალიზებას.

შესრულებულია

01.01.2023

| პროორიტეტი  | აქტივობა  | სამოქმედო გეგმა |     |      |     |      |     |
|---|---|-----------------|-----|------|-----|------|-----|
|   |   | 2023            |     | 2024 |     | 2025 |     |
|   |   | HY1             | HY2 | HY1  | HY2 | HY1  | HY2 |
| საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა  | მიკრობანკების საზედამხებველო ჩარჩოს შემუშავება  | ■               |     |      |     |      |     |
|   | ფაქტორინგული ოპერაციების განმახორციელებელი პირების ეროვნული ბანკის რეგულირების დაქვემდებარებაში მოქცევა და შესაბამისი საზედამხებველო ჩარჩოს შემუშავება  |                 |     |      |     |      |     |
|   | სალიზინგო კომპანიების ეროვნული ბანკის რეგულირების დაქვემდებარებაში მოქცევა და შესაბამისი საზედამხებველო ჩარჩოს შემუშავება   |                 |     |      |     |      |     |
|   | ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების განახლება და მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება  |                 |     |      |     |      |     |
|   | ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწა   |                 |     |      |     |      |     |
|   | ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის ჩარჩოს დახვეწა   | ■               | ■   | ■    | ■   |      |     |
|   | სამართლებრივი ინიციატივების/ აქტებთან დაკავშირებული ზეგავლენის გამარტივებული ფორმით შეფასების ინიცირება   |                 |     |      |     |      |     |
|   | რეგულირებად სექტორებში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების მოკვლევისა და კონცენტრაციების კონტროლის დამოუკიდებელი ინსტიტუციური ფუნქციის განვითარება |                 | ■   | ■    | ■   |      |     |
|   | საფინანსო სექტორში კონკურენციის სამართლის აღსრულების საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა და გზამკვლევი დოკუმენტის შემუშავება   |                 |     | ■    | ■   |      |     |
|   | „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განწესისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში“ ცვლილების შეტანა   | ■               | ■   | ■    |     |      |     |
| კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის ჯარიმების დაკისრების შესახებ წესებში ცვლილება | ■   | ■               | ■   |      |     |      |     |

## ფინანსური ინოვაციების ნახალისება და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება

ფინანსური ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ხელშეწყობა, საზედამხედველო პროცესების და სერვისების გაციფრულების ხელშეწყობა და შესაბამისი საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება პრიორიტეტულია. ამ პრიორიტეტის შესრულებას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობებით გეგმავს:

- ◆ ზედამხედველობის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, საზედამხედველო პროცესების და სერვისების გაციფრულების ხელშეწყობა და შესაბამისი საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება;
- ◆ ღია ბანკინგის განვითარება და გავრცელების ხელშეწყობა:
  - ფინანსური სექტორის მომხმარებლებისთვის ინოვაციური სერვისების მიწოდების და კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, არასაბანკო ინსტიტუტების, მათ შორის, ფინტექ კომპანიებისთვის ღია ბანკინგის სერვისების გამოყენების ხელშეწყობა;
  - ელექტრონულ სივრცეში ფინანსური ინფორმაციისა და სერვისების დინამიური სტანდარტიზაცია;
  - ღია ბანკინგის ჩარჩოს მუდმივი განვითარება, რაც გულისხმობს უფრო მეტი ფინანსური ინფორმაციის გაზიარებას;
  - ღია ფინანსების მიმართულებით, მოსახლეობისთვის დამატებული ღირებულების მომტანი პრაქტიკული გამოყენების პროდუქტებისა და მომსახურებების იდენტიფიკაცია, პრიორიტეტიზაცია და ხელის შეწყობა;
  - ღია ფინანსებზე გადასვლის მიზნებისთვის შესაბამისი საზედამხედველო გეგმის შემუშავება.
- ◆ ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების და ეროვნული ფინანსური ჩართულობის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევის განსაზღვრა;
- ◆ ღია საზედამხედველო მიდგომების განვითარება:
  - ღია რეგულირების პრინციპების დახვეწა;
  - ფინანსური ინოვაციების ოფისის, როგორც ფინანსური ინოვატორების საზოგადოებასთან მთავარი კომუნიკაციის არხის განვითარება;
  - ინოვაციური ბიზნეს-მოდელების მქონე სუბიექტების საფინანსო ბაზარზე შემოსვლის ბარიერების შემსუბუქება;
- ◆ ციფრული ბანკინგის განვითარება:
  - ფინანსურ სერვისებზე წვდომის გაზრდისათვის, ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენება და ციფრული საბანკო არხების განვითარების ხელშეწყობა;
  - მოდულარული საბანკო მოდელის განვითარების ხელშეწყობა;
  - ციფრული ბანკებისთვის კიბერუსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრა და სალიცენზიო პროცესში გათვალისწინება;
  - ღრუბლოვანი არქიტექტურის მონაცემთა შენახვის და დამუშავების მდგრადი განვითარება.



- ◆ რეგულირების ლაბორატორიის დახვეწა და განვითარება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მისი გამოყენების არეალის გაფართოებას და უცნობი რისკების შესასწავლად, მათ შორის, არარეგულირებად სუბიექტებთან მიმართებით გამოყენებას, სხვადასხვა ტექნოლოგიის რისკების გამოცდის ჩარჩოს დახვეწას და ეროვნული ბანკისთვის პრიორიტეტული სერვისების/ლიცენზიებისთვის მიზნობრივი რეგულირების ლაბორატორიის (Targeted Sandbox) საჭიროებისამებრ გამოცხადებას;
- ◆ ეროვნულ ბანკში მონაცემთა ანალიზისა და საზედამხებველო ტექნოლოგიების (SupTech) განვითარების ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, მოიცავს საკრედიტო რეესტრის განვითარებასა და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებას, საზედამხებველო ფორმების ოპტიმიზაციას; მეგა მონაცემების (BigData) მოდელირებასა და მის საზედამხებველო პროცესში გამოყენებას; XBRL მონაცემთა გაცვლის სტანდარტზე საზედამხებველო ინფორმაციის გადატანასა და რისკის ანალიტიკური ცხრილების (ე.წ. dashboards) განვითარებას;
- ◆ მოდელის განვითარება:
  - ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებლად მონაცემთა დამუშავების ხელშეწყობა მანქანური სწავლებისა და ხელოვნური ინტელექტის მოდელის განვითარება, განსაკუთრებით საცალო სექტორისათვის;
  - სტატისტიკური და ხელოვნური ინტელექტის მოდელის მდგრადი განვითარებისათვის საზედამხებველო ჩარჩოს შექმნა და შესაბამისი სახელმძღვანელო შემუშავება;
  - მოდელის ეთიკური გამოყენების პრინციპების განვითარება;
  - მოდელის გამჭვირვალობის და ახსნადობის პრინციპების განვითარებისთვის საერთაშორისო პრაქტიკის მონიტორინგი და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად პრინციპების დახვეწა/გამკაცრება;
  - IFRS 9-ის მიზნებისათვის მოდელის ხარისხობრივი მაჩვენებლების, შედარებითობის და თავსებადობის გაუმჯობესებისთვის საჭირო საკითხების ანალიზი/შესწავლა და იდენტიფიცირება;
  - საკრედიტო რეესტრის მონაცემების მეშვეობით IFRS მოდელისათვის საზედამხებველო სეგმენტური მაჩვენებლების განსაზღვრა.<sup>17</sup>
- ◆ ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის საპილოტე ეტაპის ამოქმედება:
  - ეროვნული ბანკის მიერ არჩეულ ტექნოლოგიურ პარტნიორთან ერთად საპილოტე პროგრამის დაწყება და სებ-ის მიერ იდენტიფიცირებული დამატებითი ღირებულების მომტანი პრაქტიკული მაგალითების ტესტირება;
  - საპილოტე პროგრამის შედეგად მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ციფრული ვალუტის რეალურ გარემოში დანერგვა;

17. მოდელის განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობებიდან აღნიშნული აქტივობა არარეგულაციურად იქნა მიჩნეული და შესაბამისად დაკორექტირდა/ამოღებულ იქნა სამოქმედო გეგმიდან. კომერციული ბანკების IFRS 9 მოდელის მონიტორინგის დაწყების პროცესში კომერციული ბანკების მიმართ არსებობდა მოთხოვნა, რომ შემუშავებინათ ECL-ის დათვლის სტატისტიკური მოდელი როგორც შიდა ლოგიკით/დაშვებებით შექმნილი, რომელსაც გამოიყენებდნენ შიდა მიზნობრივით, ასევე, სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად იქნებოდა ფორმირებული. აღნიშნული პროცესის მიზანი იყო მონაცემებზე დაყრდნობით IFRS 9 მოდელისთვის ECL ქვეკომპონენტების ბენჩმარკ მაჩვენებლების შეფასება და გაზიარება კომერციულ ბანკებთან. მიმდინარე ეტაპზე კომერციულ ბანკებს შემუშავებული აქვთ და იყენებენ IFRS 9-ის შიდა მოდელს და მიმდინარე ეტაპზე სებ-ის მიზანი ბანკების შიდა მოდელის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების/შენიშვნების გაზიარება.

- საპილოტე და რეალურ გარემოში დანერგვის შემდგომ წარმოშობილი ციფრული ვალუტის შესაძლო რისკების შესწავლა და მიტიგაციის ღონისძიებების შემუშავება;
- ციფრული ლარის პროექტში ჩართული მხარეების კოორდინაცია და მათი ეფექტური ინტეგრაცია.
- ◆ ფინანსური ინოვაციების წახალისება და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარების მიზნით ბიზნეს მოდელების და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, დაკავშირებულ მხარეებთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და ფინანსური ტექნოლოგიების კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა: DLT ტექნოლოგიის, კრიპტოაქტივების, სტაბილური ქოინების, გონიერი კონტრაქტების (Smart Contracts) მიმართულებით კვლევების განხორციელება, მოცემული ტექნოლოგიების/აქტივების რისკების იდენტიფიკაცია და მათთვის შესაბამისი საზედამხედველო ჩარჩოს ჩამოყალიბების მიზნით კვლევების ჩატარება, პრაქტიკის ანალიზი და საუკეთესო მიდგომების გამოვლენა;
- ◆ „ჩაშენებული ფინანსების“ გამოყენების წახალისება, ქვეყნის ფინანსურ ბაზარზე კონკურენციის გაზრდის მიზნით;<sup>18</sup>
- ◆ ღრუბლოვანი არქიტექტურის მონაცემთა შენახვის და დამუშავების მდგრადი განვითარების მიზნით კვლევა და მიდგომების იდენტიფიცირება;
- ◆ კონფიდენციალურობის გაძლიერების ტექნოლოგიებზე (Privacy enhancing technologies) რეგულაციების კვლევა და გარკვეული პრინციპების შემუშავება;
- ◆ ხელოვნური ინტელექტის(AI) მიმართულებით კვლევის გაღრმავება და გენერაციული ხელოვნური ინტელექტი (Generative AI) მიმართულებით კვლევითი საქმიანობა, პრინციპების შემუშავება, სებ-ის მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დანერგვის ხელშეწყობა;
- ◆ რეგიონული თანამშრომლობის ჩამოყალიბებაზე მუშაობა და ერთობლივი ფინტექ სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ◆ საქართველოს პოზიციონირება რეგიონალურ/შავი ზღვის ფინტექ ჰაბად.

18. აღნიშნული განგრძობითი პროცესია, რომელსაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ღია ბანკინგისა და ღია ფინანსების მიმართულებების გაძლიერებით, ისევე როგორც რეგულირებად და არარეგულირებად სუბიექტებთან აქტიური შეხვედრებითა და ცნობიერების ამაღლებით.

შესრულებულია

01.01.2023

| პროორიტეტი   | აქტივობა   | სამოქმედო გეგმა |     |      |     |      |     |
|--|--|-----------------|-----|------|-----|------|-----|
|  |  | 2023            |     | 2024 |     | 2025 |     |
|  |  | HY1             | HY2 | HY1  | HY2 | HY1  | HY2 |
| ფინანსური ინოვაციების წახალისება და საზედამხებველო ტექნოლოგიების განვითარება | ღია ფინანსებზე გადასვლის მიზნებისთვის საზედამხებველო გეგმის შემუშავება   | ■               | ■   |      |     |      |     |
|  | ფინტექის განვითარების და ეროვნული ფინანსური ჩართულობის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევის განსაზღვრა   |                 |     |      |     |      |     |
|  | ციფრული ბანკებისთვის კიბერუსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრა და სალიცენზიო პროცესში გათვალისწინება  | ■               | ■   |      |     |      |     |
|  | რეგულირების ლაბორატორიის განვითარება   |                 |     |      |     |      |     |
|  | სტატისტიკური და ხელოვნური ინტელექტის მოდელების მდგრადი განვითარებისათვის საზედამხებველო ჩარჩოს შექმნა  | ■               | ■   | ■    | ■   |      |     |
|  | IFRS 9-ის მიზნებისათვის მოდელების ხარისხობრივი მაჩვენებლების, შედარებითობის და თავსებადობის გაუმჯობესებისთვის საჭირო საკითხების ანალიზი/შესწავლა და იდენტიფიცირება   |                 |     |      |     |      |     |
|  | სებ-ის მიერ არჩეულ ტექნოლოგიურ პარტნიორთან ერთად საპილოტე პროგრამის დაწყება და დამატებითი ღირებულების მომტანი პრაქტიკული მაგალითების ტესტირება   | ■               | ■   | ■    | ■   |      |     |
|  | DLT ტექნოლოგიის, სტაბილური ქოინების, გონიერი კონტრაქტების (Smart Contracts) თაობაზე საზედამხებველო ჩარჩოს განსაზღვრის მიზნით კვლევების ჩატარება, პრაქტიკის ანალიზი და საუკეთესო მიდგომების გამოვლენა                                     |                 |     |      |     |      |     |
|  | „ჩაშენებული ფინანსების“ გამოყენების წახალისება   |                 |     |      |     |      |     |
|  | ღრუბლოვანი არქიტექტურის მონაცემთა შენახვის და დამუშავების მდგრადი განვითარების მიზნით კვლევა და მიდგომების იდენტიფიცირება  |                 |     |      |     |      |     |
|  | კონფიდენციალურობის გაძლიერების ტექნოლოგიებზე (Privacy enhancing technologies) რეგულაციების კვლევა და გარკვეული პრინციპების შემუშავება  |                 |     |      |     |      |     |
|  | ხელოვნური ინტელექტის (AI) მიმართულებით კვლევის გაღრმავება და გენერაციული ხელოვნური ინტელექტი (Generative AI) მიმართულებით კვლევითი საქმიანობა, პრინციპების შემუშავება, სებ-ის მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დანერგვის ხელშეწყობა |                 |     |      |     |      |     |

## საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება

საფინანსო სისტემის სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, მონინავე საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და აღებული ვალდებულებებისა თუ რეკომენდაციების შესრულება ეროვნული ბანკისთვის პრიორიტეტულია. ამ პრიორიტეტის შესრულებას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობებით გეგმავს:

- ◆ არსებული პრუდენციული რეგულირების დახვეწა, მათ შორის, ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით რისკზე დაფუძნებული მიდგომების განვითარება, რომელიც ეფექტიანად უპასუხებს მზარდ გამოწვევებს და ნაახალისებს ინოვაციებს საფინანსო სისტემაში;
- ◆ IFRS-ზე გადასვლის პროექტის იმპლემენტაციის მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში საზღადაზხედველო პოლიტიკების განახლება/ცვლილებების ასახვა, ევროპის ფინანსური რეპორტირების ჩარჩოსთან შესაბამისობა;
- ◆ ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ დირექტივებთან და გამომდინარე სტანდარტებთან დინამიური აპროქსიმაციის მიზნით, შესაბამისი სტანდარტების მონიტორინგი;
- ◆ გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი (ESG) რისკების მართვის სახელმძღვანელოს შემუშავება;
- ◆ მდგრადი დაფინანსების ახალი გზამკვლევის/სამოქმედო გეგმის მომზადება;
- ◆ გარემოსდაცვით, სოციალურ, მმართველობით (ESG) საკითხებთან დაკავშირებული გამჭვირვალობის ანგარიშგებების დახვეწა და საფინანსო სფეროში მონინავე პრაქტიკის დამკვიდრება;
- ◆ დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის (MREL) შემოღებაზე შესაბამისი კვლევების ჩატარება და მოთხოვნის განსაზღვრა;
- ◆ კომერციული ბანკებისთვის საზღადაზხედველო ზომების, ადრეული ინტერვენციისა და საბანკო ლიცენზიის გაუქმებისათვის საჭირო თანმიმდევრული პროცესის ამსახველი ჩარჩოს განვითარება;
- ◆ საზღადაზხედველო კაპიტალის სტანდარტების მუდმივი მონიტორინგი და დახვეწა:
  - ძირითად პირველად კაპიტალში ჩასართავი გაუნაწილებელი მოგებიდან დაქვითვადი განჭვრეტადი დივიდენდებისა და ხარჯების (foreseeable dividends and charges) განმარტება და შეფასების მეთოდოლოგია. ამასთან, განიმარტება ძირითად პირველად კაპიტალში წლიური და შუალედური მოგების ჩართვის პრინციპი;
  - მაქსიმალური გასანაწილებელი ელემენტების (Maximum Distributable Amount – MDA) ცნებისა და დათვლის მეთოდის შემოღება, რაც მათ შორის გულისხმობს კომბინირებული ბუფერის დარღვევის შემთხვევაში MDA-ზე მაღალი მოცულობით კონკრეტული გადახდების განხორციელების შეზღუდვას;
- ◆ რისკის პოზიციების ბაზელ III-ის სტანდარტებსა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაციის მოთხოვნებთან დაახლოება:
  - საკრედიტო რისკის შეწონვის სტანდარტიზებული მიდგომის განახლება;
  - საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისათვის ახალი მეთოდოლოგიის შემოღება და დანერგვა;

- კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისთვის დამატებითი მეთოდოლოგიის შემოღება და დანერგვა;
- საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის ჩარჩოს განახლება;
- საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების დათვლის სტანდარტიზებული მიდგომის განახლება.<sup>19</sup>
- ◆ პრუდენციული მოთხოვნების დაწესება კონსოლიდირებულ დონეზე;<sup>20</sup>
- ◆ ლიკვიდობასთან (LCR, NSFR) დაკავშირებული ინსტრუქციის განახლება/დახვეწა;
- ◆ საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების სფეროში ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის შექმნა და შესაბამისი მარეგულირებელი აქტებისა და პოლიტიკა-პროცედურების შემუშავება;
- ◆ პილარ 2-ის ჩარჩოს ცვლილება - გაცვლითი კურსის წლიური გაუფასურების შედეგად პილარ 2-ის ფარგლებში განსაზღვრული კაპიტალის ჯამური მოთხოვნის შესაძლო შემცირების ამსახველი ნორმის გაუქმება;
- ◆ ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ ჩარჩოს შემუშავება;
- ◆ Ex-ante რეზოლუციის ფონდის შესაქმნელად შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილების განხორციელება და რელევანტური კანონქვემდებარე აქტების შემუშავება;
- ◆ BRRD დირექტივასთან სრული შესაბამისობისთვის კვლევის ჩატარება და ცვლილებების დაგეგმვა შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში.<sup>21</sup>

19. აღნიშნული აქტივობა დაემატა საზედამხებველო სტრატეგიის სამოქმედო გეგმას, სექტორისთვის განჭვრეტადობის მიზნით.

20. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი კვლევით და მეთოდოლოგიურ საქმიანობას საზედამხებველო მიდგომების განსაზღვრისა და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების მიზნით გეგმავს 2025 წლის ბოლომდე, შესაბამისად, ჩარჩოს შემუშავებასა და დანერგვაზე მუშაობა 2025 წლის შემდგომაც გაგრძელდება.

21. აღნიშნული აქტივობა მოდიფიცირდა საზედამხებველო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, რათა უკეთ ასახავდეს დაგეგმილი აქტივობის არსს.

შესრულებულია

01.01.2023

| პრიორიტეტი                           | აქტივობა   | სამოქმედო გეგმა |     |      |     |      |     |
|--------------------------------------|--|-----------------|-----|------|-----|------|-----|
|                                      |  | 2023            |     | 2024 |     | 2025 |     |
|                                      |  | HY1             | HY2 | HY1  | HY2 | HY1  | HY2 |
| საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება | ESG რისკების მართვის სახელმძღვანელოს შემუშავება  |                 |     |      |     |      |     |
|                                      | მდგრადი დაფინანსების ახალი გზამკვლევის/სამოქმედო გეგმის მომზადება  |                 |     |      |     |      |     |
|                                      | ESG-სთან დაკავშირებული გამჭვირვალობის ანგარიშგებების დახვეწა და საფინანსო სფეროში მოწინავე პრაქტიკის დამკვიდრება   |                 |     |      |     |      |     |
|                                      | MREL-ის შემოღებაზე შესაბამისი კვლევების ჩატარება და მოთხოვნის განსაზღვრა   |                 |     |      |     |      |     |
|                                      | კომერციული ბანკებისთვის საზედამხედველო ზომების, ადრეული ინტერვენციისა და საბანკო ლიცენზიის გაუქმებისათვის საჭირო პროცესის ამსახველი ჩარჩოს განვითარება                             |                 |     |      |     |      |     |
|                                      | კაპიტალში ჩასართავი და დაქვითვადი ნაწილების შემოღება   |                 |     |      |     |      |     |
|                                      | მაქსიმალური გასანაწილებელი ელემენტების ცნების შემოღება   |                 |     |      |     |      |     |
|                                      | საკრედიტო რისკის შენონვის სტანდარტიზებული მიდგომის განახლება   |                 |     |      |     |      |     |
|                                      | საბაზრო რისკის მიხედვით შენონილი აქტივებისათვის ახალი მეთოდოლოგიის შემოღება და დანერგვა  |                 |     |      |     |      |     |
|                                      | კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისთვის დამატებითი მეთოდოლოგიის შემოღება და დანერგვა  |                 |     |      |     |      |     |
|                                      | საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის ჩარჩოს განახლება  |                 |     |      |     |      |     |
|                                      | საოპერაციო რისკის მიხედვით შენონილი აქტივების დათვლის სტანდარტიზებული მიდგომის განახლება   |                 |     |      |     |      |     |
|                                      | კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოს შესახებ დებულების შემუშავებაზე მუშაობა  |                 |     |      |     |      |     |
|                                      | ლიკვიდობასთან (LCR, NSFR) დაკავშირებული ინსტრუქციის განახლება/დახვეწა  |                 |     |      |     |      |     |
|                                      | საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების სფეროში ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის შექმნა და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება                             |                 |     |      |     |      |     |
|                                      | პილარ 2-ის ჩარჩოს ცვლილება - გაცვლითი კურსის წლიური გაუფასურების შედეგად პილარ 2-ის ფარგლებში განსაზღვრული კაპიტალის ჯამური მოთხოვნის შესაძლო შემცირების ამსახველი ნორმის გაუქმება |                 |     |      |     |      |     |
|                                      | ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ ჩარჩოს შემუშავება   |                 |     |      |     |      |     |
|                                      | Ex-ante რეზოლუციის ფონდის შესაქმნელად შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილების განხორციელება და რელევანტური კანონქვემდებარე აქტების შემუშავება                                    |                 |     |      |     |      |     |
|                                      | BRRD დირექტივასთან სრული შესაბამისობისთვის კვლევის ჩატარება და ცვლილებების დაგეგმვა შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში   |                 |     |      |     |      |     |

## ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა

საზედამხედველო ფუნქციის მაქსიმალური ეფექტურობისა და სინერჯის მიღწევის მიზნით ეროვნული ბანკის ორგანიზაციული და ინსტიტუციონალური სტანდარტებისა და პრაქტიკების გაუმჯობესება პრიორიტეტულია. ამ პრიორიტეტის შესრულებას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობებით გეგმავს:

- ◆ ეროვნულ ბანკში კორპორაციული კულტურის გაძლიერება, თანამშრომლებისთვის მრავალფეროვანი, თანასწორი და ინკლუზიური გარემოს შეთავაზება, პროფესიონალ და მოტივირებულ თანამშრომელთა გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, მათ შორის, ჰიბრიდული სამუშაო რეჟიმის დახვეწაზე მუშაობა;
- ◆ საზედამხედველო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მმართველობის გაძლიერება, პროცესში ჩართული თანამშრომლების როლების ზრდა, ანგარიშვალდებულების ჩარჩოს დახვეწა და პროცესის ოპტიმიზაცია;
- ◆ საზედამხედველო პრაქტიკის მაქსიმალური ინსტიტუციონალიზაცია;
- ◆ ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილ გამოწვევებზე საპასუხოდ სამუშაო ჯგუფების შექმნისა და განხილვების პროცესებში ყველა პასუხისმგებელი მიმართულების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების ნახალისება;
- ◆ საზედამხედველო სტრატეგიის გამოქვეყნების, სექტორის წარმომადგენლებთან და დარგის ექსპერტებთან წარდგენის პრაქტიკის გაუმჯობესება;
- ◆ საზედამხედველო პოლიტიკის დოკუმენტებსა და ინიციატივებთან დაკავშირებით შენიშვნების მიღებისა და მიღებული შენიშვნების გასაჯაროების ჩარჩოს დანერგვა;
- ◆ შემუშავებული რეგულაციებისა და პოლიტიკების სრულყოფილი და ეფექტური იმპლემენტაციის და აღსრულების უზრუნველყოფა;
- ◆ პროფესიონალების მოზიდვა, მათთვის გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავება;
- ◆ შიდა კომუნიკაციების გაძლიერება და თანამშრომელთა ჩართულობის გაზრდა;
- ◆ თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის, შიდა ტრენინგებისა და სწავლების (coaching) კულტურის ნახალისება;
- ◆ ორგანიზაციაში ახალი თანამშრომლების ორიენტაცია-ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობა;
- ◆ თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებისა და უკუკავშირის სისტემის დახვეწა, მათ შორის, 360 გრადუსიანი უკუკავშირის სისტემის საპილოტე რეჟიმში გაშვება;
- ◆ HR სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები განგრძობით მუშაობას საჭიროებს და ეროვნული ბანკი მომდევნო წლების განმავლობაში, მუდმივ რეჟიმში ეცდება ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერებასა და გამჭვირვალობის ზრდაზე ზრუნვას.



შესრულებულია

01.01.2023

| პრიორიტეტი  | აქტივობა   | სამოქმედო გეგმა |     |      |     |      |     |
|---|--|-----------------|-----|------|-----|------|-----|
|   |  | 2023            |     | 2024 |     | 2025 |     |
|   |  | HY1             | HY2 | HY1  | HY2 | HY1  | HY2 |
| სებ-ის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამწვანების ზრდა | საზედამხედველო გადამწყვეტილებების მიღების პროცესის გამარტივება და შესაბამისი პოლიტიკა-პროცედურების შემუშავება                                  |                 |     |      |     |      |     |
|   | საზედამხედველო პოლიტიკის დოკუმენტებსა და ინიციატივებთან დაკავშირებით შენიშვნების მიღებისა და მიღებული შენიშვნების გასაჯაროების ჩარჩოს დანერგვა |                 |     |      |     |      |     |
|   | უკუკავშირის სისტემის დახვეწა, 360 გრადუსიანი უკუკავშირის სისტემის საპილოტე რეჟიმში გაშვება   |                 |     |      |     |      |     |
|   | HR სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება  |                 |     |      |     |      |     |



# სამოქმედო გეგმა

წინა სტრატეგიის მსგავსად, ცვლილებების გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და რეგულაციებს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩო უმეტესწილად უკვე მოიცავს. თუმცა, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის და სტანდარტების დახვეწისა და მსოფლიო და ადგილობრივი ტენდენციების ცვლილებების პარალელურად, ეროვნული ბანკი მუდმივად ანახლებს და სრულყოფს ზედამხედველობასთან დაკავშირებულ მარეგულირებელ ჩარჩოს და საზედამხედველო რესურსებს, ტექნოლოგიებს თუ მიდგომებს.<sup>22</sup>

| პრიორიტეტი  | აქტივობა   | სამოქმედო გეგმა |     |      |     |      |     |
|---|--|-----------------|-----|------|-----|------|-----|
|   |  | 2023            |     | 2024 |     | 2025 |     |
|   |  | HY1             | HY2 | HY1  | HY2 | HY1  | HY2 |
| საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება და შედეგებზე პროაქტიული რეაგირება | კლიმატის რისკ სცენარებისა და სტრეს-ტესტის ჩარჩოს შემუშავება  | ■               | ■   | ■    | ■   |      |     |
|   | ღრუბლოვანი გამოთვლითი მოდელის სახელმძღვანელოს ამოქმედება   | ■               | ■   |      |     |      |     |
|   | კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულების განახლება   | ■               | ■   |      |     |      |     |
|   | კომერციული ბანკებისთვის საოპერაციო და კიბერ რისკის სტრეს-ტესტების მოთხოვნების განსაზღვრა   |                 |     | ■    | ■   | ■    | ■   |
|   | კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს განახლებული მოთხოვნების განსაზღვრა  |                 |     | ■    | ■   | ■    | ■   |
|   | მომხმარებელთა დაცვის მიმართულებით რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო სტრატეგიის შემუშავება  |                 |     | ■    | ■   | ■    | ■   |
|   | ბანკების ILAAP შეფასებები  |                 | ■   | ■    | ■   |      |     |
|   | ბანკების ICAAP შეფასებები  |                 | ■   | ■    | ■   |      |     |
|   | კომერციული ბანკების სტრეს-ტესტების 2022 წლის რაუნდის ჩატარება და შედეგების ანალიზი   | ■               | ■   |      |     |      |     |
|   | კომერციული ბანკების 2025 წლის სტრეს-ტესტების რაუნდისთვის მომზადება, ჩატარება და შედეგების ანალიზი  |                 |     | ■    | ■   | ■    | ■   |
|   | სტრეს-ტესტების სახელმძღვანელოს განახლება IFRS სტანდარტზე გადასვლით გამოწვეული ცვლილებების ასახვის მიზნით   |                 |     | ■    | ■   | ■    | ■   |
|   | მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის საოპერაციო რისკების, კიბერუსაფრთხოებისა და კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემუშავება   |                 |     | ■    | ■   | ■    | ■   |
|   | მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის ცვლილება                  |                 |     |      |     | ■    | ■   |
|   | უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიების დაფინანსებისა და დაუსრულებელი/მშენებარე უძრავი ქონების შესაძენად იპოთეკური სესხების გაცემის პრინციპების თაობაზე გაიდლაინის შემდგომი გაუმჯობესება |                 |     | ■    | ■   | ■    | ■   |
|   | ინტერესთა კონფლიქტის მართვის სტანდარტების დახვეწა  | ■               | ■   |      |     |      |     |
|   | საკრედიტო რისკების მართვის დებულების შემუშავება და ძირითადი პრინციპების განსაზღვრა   | ■               | ■   |      |     |      |     |
|   | მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის გადახდისუნარიობის/გაკორტრების სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება   |                 |     | ■    | ■   | ■    | ■   |
|   | საკანონმდებლო ცვლილებების გზით დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის  |                 |     | ■    | ■   | ■    | ■   |
| კომერციული ბანკებისთვის მონაცემთა ხარისხის მართვის მოთხოვნების დანერგვა                   |  |                 | ■   | ■    | ■   | ■    |     |

01.01.2023

22. ეროვნული ბანკის მიერ ვერ ხერხდება იმ აქტივობების შესრულების ვადების ზუსტად განსაზღვრა, რომლებიც გულისხმობს ან დამოკიდებულია საკანონმდებლო ცვლილებებზე.

|  |   |  |  |  |  |  |  |  |  |
|--|---|--|--|--|--|--|--|--|--|
| საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა   | მიკრობანკების საზღადამხედველო ჩარჩოს შემუშავება   |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | ფაქტორინგული ოპერაციების განმახორციელებელი პირების ეროვნული ბანკის რეგულირების დაქვემდებარებაში მოქცევა და შესაბამისი საზღადამხედველო ჩარჩოს შემუშავება   |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | სალიზინგო კომპანიების ეროვნული ბანკის რეგულირების დაქვემდებარებაში მოქცევა და შესაბამისი საზღადამხედველო ჩარჩოს შემუშავება  |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების განახლება და მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება  |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწა   |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის ჩარჩოს დახვეწა   |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | სამართლებრივი ინიციატივების/აქტებთან დაკავშირებული ზეგავლენის გამარტივებული ფორმით შეფასების ინიცირება  |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | რეგულირებად სექტორებში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღვევლი შეთანხმებების მოკვლევისა და კონცენტრაციების კონტროლის დამოუკიდებელი ინსტიტუციური ფუნქციის განვითარება    |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | საფინანსო სექტორში კონკურენციის სამართლის აღსრულების საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა და გზამკვლევი დოკუმენტის შემუშავება   |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განვითარების მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში“ ცვლილების შეტანა   |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის ჯარიმების დაკისრების შესახებ წესებში ცვლილება   |  |  |  |  |  |  |  |  |
| ფინანსური ინოვაციების ნახალისება და საზღადამხედველო ტექნოლოგიების განვითარება  | ღია ფინანსებზე გადასვლის მიზნებისთვის საზღადამხედველო გეგმის შემუშავება   |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | ფინტექის განვითარების და ეროვნული ფინანსური ჩართულობის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევის განსაზღვრა  |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | ციფრული ბანკებისთვის კიბერუსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრა და სალიცენზიო პროცესში გათვალისწინება   |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | რეგულირების ლაბორატორიის განვითარება  |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | სტატისტიკური და ხელოვნური ინტელექტის მოდელების მდგრადი განვითარებისათვის საზღადამხედველო ჩარჩოს შექმნა  |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | IFRS 9-ის მიზნებისათვის მოდელების ხარისხობრივი მაჩვენებლების, შედარებითობის და თავსებადობის გაუმჯობესებისთვის საჭირო საკითხების ანალიზი/შესწავლა და იდენტიფიცირება                                    |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | სებ-ის მიერ არჩეულ ტექნოლოგიურ პარტნიორთან ერთად საპილოტე პროგრამის დაწყება და დამატებითი ღირებულების მომტანი პრაქტიკული მაგალითების ტესტირება  |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | DLT ტექნოლოგიის, სტაბილური ქოინების, გონიერი კონტრაქტების (Smart Contracts) თაობაზე საზღადამხედველო ჩარჩოს განსაზღვრის მიზნით კვლევების ჩატარება, პრაქტიკის ანალიზი და საუკეთესო მიდგომების გამოვლენა |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | „ჩაშენებული ფინანსების“ გამოყენების ნახალისება  |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | ღრუბლოვანი არქიტექტურის მონაცემთა შენახვის და დამუშავების მდგრადი განვითარების მიზნით კვლევა და მიდგომების იდენტიფიცირება   |  |  |  |  |  |  |  |  |
|  | კონფიდენციალურობის გაძლიერების ტექნოლოგიებზე (Privacy enhancing technologies) რეგულაციების კვლევა და გარკვეული პრინციპების შემუშავება   |  |  |  |  |  |  |  |  |
| ხელოვნური ინტელექტის (AI) მიმართულებით კვლევის გაღრმავება და გენერაციული ხელოვნური ინტელექტი (Generative AI) მიმართულებით კვლევითი საქმიანობა, პრინციპების შემუშავება, სებ-ის მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დანერგვის ხელშეწყობა |   |  |  |  |  |  |  |  |  |

|  |  |   |   |   |   |   |   |
|--|--|---|---|---|---|---|---|
| საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება                             | ESG რისკების მართვის სახელმძღვანელოს შემუშავება  | ■ | ■ |   |   |   |   |
|  | მდგრადი დაფინანსების ახალი გზამკვლევის/სამოქმედო გეგმის მომზადება  | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |   |
|  | ESG-სთან დაკავშირებული გამჭვირვალობის ანგარიშგებების დახვეწა და საფინანსო სფეროში მონინავე პრაქტიკის დამკვიდრება   | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |
|  | MREL-ის შემოღებაზე შესაბამისი კვლევების ჩატარება და მოთხოვნის განსაზღვრა   | ■ | ■ |   |   |   |   |
|  | კომერციული ბანკებისთვის საზედამხედველო ზომების, ადრეული ინტერვენციისა და საბანკო ლიცენზიის გაუქმებისათვის საჭირო პროცესის ამსახველი ჩარჩოს განვითარება                             | ■ | ■ |   |   |   |   |
|  | კაპიტალში ჩასართავი და დაქვითვადი ნაწილების შემოღება   | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |
|  | მაქსიმალური გასანაწილებელი ელემენტების ცნების შემოღება   | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |
|  | საკრედიტო რისკის შეწონვის სტანდარტიზებული მიდგომის განახლება   | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |
|  | საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისათვის ახალი მეთოდოლოგიის შემოღება და დანერგვა  | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |
|  | კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისთვის დამატებითი მეთოდოლოგიის შემოღება და დანერგვა  | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |
|  | საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის ჩარჩოს განახლება  |   |   | ■ | ■ | ■ | ■ |
|  | საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების დათვლის სტანდარტიზებული მიდგომის განახლება   |   |   | ■ | ■ | ■ | ■ |
|  | კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოს შესახებ დებულების შემუშავებაზე მუშაობა  | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |
|  | ლიკვიდობასთან (LCR, NSFR) დაკავშირებული ინსტრუქციის განახლება/დახვეწა  | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |
|  | საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების სფეროში ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის შექმნა და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება                             | ■ | ■ |   |   |   |   |
|  | პილარ 2-ის ჩარჩოს ცვლილება - გაცვლითი კურსის წლიური გაუფასურების შედეგად პილარ 2-ის ფარგლებში განსაზღვრული კაპიტალის ჯამური მოთხოვნის შესაძლო შემცირების ამსახველი ნორმის გაუქმება | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |
|  | ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ ჩარჩოს შემუშავება   | ■ | ■ |   |   |   |   |
|  | Ex-ante რეზოლუციის ფონდის შესაქმნელად შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილების განხორციელება და რელევანტური კანონქვემდებარე აქტების შემუშავება                                    | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |   |
|  | BRRD დირექტივასთან სრული შესაბამისობისთვის კვლევის ჩატარება და ცვლილებების დაგეგმვა შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში   |   |   | ■ | ■ | ■ | ■ |
| სებ-ის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა | საზედამხედველო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამარტივება და შესაბამისი პოლიტიკა-პროცედურების შემუშავება   | ■ | ■ | ■ | ■ |   |   |
|  | საზედამხედველო პოლიტიკის დოკუმენტებსა და ინიციატივებთან დაკავშირებით შენიშვნების მიღებისა და მიღებული შენიშვნების გასაჯაროების ჩარჩოს დანერგვა                                     | ■ | ■ |   |   |   |   |
|  | უკუკავშირის სისტემის დახვეწა, 360 გრადუსიანი უკუკავშირის სისტემის საპილოტე რეჟიმში გაშვება   | ■ | ■ |   |   |   |   |
|  | HR სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება  |   |   | ■ | ■ | ■ | ■ |

■ შესრულებულია

## 2024 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და სტრატეგიის შესრულების ანგარიში

2024 წელს ეროვნულმა ბანკმა, საზღვარსაღვრელო სტრატეგიით განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მიხედვით, არაერთ მნიშვნელოვან პროექტსა და რეფორმაზე იმუშავა. აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით ქვემოთ იხილავთ მოკლე მიმოხილვას, ხოლო უფრო დეტალური ინფორმაცია ეროვნული ბანკის მიერ 2024 წელს განეული სამუშაოების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული ბანკის 2024 წლის წლიურ ანგარიშში.<sup>23</sup>

### საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება და შედეგებზე პროაქტიული რეაგირება

◆ 2024 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ფინანსური მხარდაჭერით და EconLab-ის საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით, [კლიმატის სტრეს-ტესტის ჩარჩო](#) შეიმუშავა და საქართველოს ფინანსური სექტორისთვის პირველი კლიმატის სტრეს-ტესტის შედეგები გამოაქვეყნა. აღნიშნული ჩარჩო წარმოადგენს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც კლიმატთან დაკავშირებული რისკების სრულყოფილი შეფასებისთვის რამდენიმე ანალიტიკურ მოდულს აერთიანებს. კლიმატის სტრეს-ტესტის ჩარჩო “top-down” („ზემოდან-ქვემოთ“) მიდგომას იყენებს, რომელიც ეროვნული ბანკის ამჟამინდელ სტრეს-ტესტის მეთოდოლოგიას ეფუძნება და სხვადასხვა სატელიტურ მოდელებსა და ინსტრუმენტებს აერთიანებს. ჩარჩო მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე გარდამავლობის რისკებს, რაც კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ ჰოლისტიკურ პერსპექტივას ქმნის. ასევე, ჩარჩო წყაროდ NGFS-ის კლიმატის სცენარებს იყენებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტრეს-ტესტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. კლიმატთან დაკავშირებული მოწყვლადობის შეფასებისას აღნიშნული ჩარჩო რისკების შეფასებას როგორც შინამეურნეობების, ასევე, კორპორატიული პორტფელის დონეზე ახდენს და შემდეგ მოდულებს მოიცავს:

- მწვავე ფიზიკური კლიმატის რისკის მოდული;
- გარდამავლობის რისკისა და ქრონიკული ფიზიკური რისკის მოდული;
- კორპორატიული სექტორის სტრეს-ტესტის მოდული;
- შინამეურნეობების სექტორის სტრეს-ტესტის მოდული.

ყველა ეს მოდული ურთიერთდაკავშირებულია და ერთიანი ჩარჩო კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული პოტენციური ეკონომიკური შეფერხებებისა და ფინანსური სტაბილურობის რისკების შეფასებას ემსახურება. სტრეს-ტესტის შედეგებმა კლიმატის რისკების რეალიზაციასთან დაკავშირებული პოტენციური დანაკარგები გამოავლინა, თუმცა, ასევე აღინიშნა საბანკო სექტორის მაღალი დონის კაპიტალიზაცია და ამ რისკების მიმართ მდგრადობა. სტრეს-ტესტის შედეგები ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი.

23. საქართველო ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშები ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის [ვებგვერდზე](#).

- ◆ გასულ წლებში საფინანსო სექტორმა, განსაკუთრებით კი საბანკო დაწესებულებებმა, აქტიურად დაიწყეს ღრუბლოვანი აუთოსორსინგული მომსახურებების გამოყენება. 2023 წლის 1 აგვისტოდან ძალაში შევიდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება [„ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი აუთოსორსინგული მომსახურების გამოყენების სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“](#). აღნიშნული სახელმძღვანელო თავისი არსით წარმოადგენს პრევენციული ხასიათის მოთხოვნებს, რომელთა ჯეროვნად შესრულებაც ხელს შეუწყობს საბედამხედველო სუბიექტების მიერ ღრუბლოვან გარემოსთან დაკავშირებული გამოწვევების/რისკების მართვას. 2024 წლის მონაცემებით, საბანკო სექტორის კრიტიკული ფუნქციების 42% გატანილია ღრუბლოვან გარემოში.
- ◆ 2024 წელს საოპერაციო და კიბერრისკის მართვის ჩარჩოს ფარგლებში პრიორიტეტული იყო აუთოსორსინგული პროცესების შეფასება, რაც რამდენიმე კომერციულ ბანკში განხორციელდა ადგილზე თემატური შემოწმების ფარგლებში. ეროვნული ბანკი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კომერციული ბანკების მხრიდან აუთოსორსინგული ურთიერთობების წამოწყების ეტაპზე შესაბამისი კომპანიების/პროდუქტების შეფასების პროცესს, აგრეთვე, აუთოსორსინგული პროცესების მონიტორინგის და პერიოდული გადაფასების საკითხს, მათ შორის, გეგმიური და რისკზე დაფუძნებული მიდგომით.
- ◆ ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს კომერციულ ბანკებთან საოპერაციო და კიბერრისკების მართვის პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაზე. გრძელდება კომერციული ბანკების შემოწმება საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობაზე. მათ შორის, დიდი ყურადღება ექცევა კომერციული ბანკების მიერ ბიზნეს უწყვეტობის სრულყოფილად ჩატარებას სხვადასხვა სცენარების მიხედვით, რაც ასევე მოიცავს აუთოსორსინგულ პროცესებს.
- ◆ 2024 წელს კვლავ აქტუალური იყო საოპერაციო რისკის პროგნოზირების ინსტრუმენტების გაფართოება. ამ მხრივ, მიმდინარეობს საოპერაციო რისკების სტრეს-ტესტების შესწავლა და კვლევა, რაც ნეგატიური სცენარის დადგომის შემთხვევაში ორგანიზაციის კაპიტალსა და ფინანსურ მდგომარეობაზე მოვლენის მოსალოდნელი ზეგავლენის განსაზღვრის და მისი შემცირების შესაძლებლობას იძლევა. გამომდინარე აქედან, მეტი მნიშვნელობა ენიჭება პოტენციური თუ რეალური საოპერაციო რისკების დანაკარგების ისტორიული მონაცემების აღრიცხვას და სრულყოფას, საოპერაციო რისკების მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ ანალიზსა და სისტემური ზეგავლენის შეფასებას. ეროვნული ბანკი რეკომენდაციების სახით ყურადღებას ამახვილებს ადამიანური შეცდომით გამოწვეული დანაკარგების მინიმიზაციაზე, ხელით შესრულებული პროცესებისა და კონტროლების გაუმჯობესებაზე, ასევე, დანაკარგების აღმოჩენისა და აღრიცხვის ავტომატიზაციაზე. ამასთან, კიბერრისკების სტრეს-ტესტების მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს, უშუალოდ მარეგულირებელ ჩარჩოზე მუშაობა კი 2026 წელს იგეგმება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობით.
- ◆ როგორც უკვე ცნობილია, 2019 წელს საბანკო სექტორში დაინერგა კიბერუსაფრთხოების საბედამხედველო მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო სექტორში კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს

დანერგვის, გამართვისა და მუდმივი გაუმჯობესების მონიტორინგსა და ზედამხედველობას უზრუნველყოფს. 2024 წლის განმავლობაში, კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდმა ზემოხსენებულ ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განახორციელა კომერციული ბანკების ციკლური შეფასებები. შეფასებები ძირითადად წარმართა ადგილზე ფიზიკური ვიზიტების ფარგლებში. გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განისაზღვრა როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნები, ასევე, რეკომენდაციები. თანამედროვე გამოწვევების და კონტექსტის გათვალისწინებით, ძირითადი გასაუმჯობესებელი მიმართულებები მოიცავდა კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესების ფორმალიზებას და ეფექტურობის ზრდას, რისკების მართვის პრაქტიკის, მათ შორის, მესამე მხარეებიდან მომდინარე რისკების მართვის გაუმჯობესებას, ინფორმაციის დაცვის მიზნით დანერგილი პროცესებისა და ტექნოლოგიური გადამწყვეტების ეფექტიანობას, ცნობიერების ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვასა და ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოებაში დასაქმებული ადამიანური რესურსების გაძლიერებას სათანადო კომპეტენციებით. ასევე, საყურადღებოა ბიზნესის უწყვეტობისა და მზადყოფნის გეგმების არსებობა და მათი ეფექტიანობა პოტენციურად მასშტაბური კიბერინციდენტის დადგომისას.

ამასთან, 2025 წლის ბოლომდე იგეგმება კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს ცვლილება და განახლებული მოთხოვნების განსაზღვრა.

- ◆ მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასევე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკში აქტიურად ფუნქციონირებს საბაზრო ქცევის ზედამხედველობის მიმართულება, რომლის ძირითად ამოცანას ფინანსური სექტორის მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპების გაძლიერება წარმოადგენს. აღნიშნული კუთხით 2024 წელს შემუშავდა სხვადასხვა ინდიკატორი, რომელზე პერმანენტულ რეჟიმში დაკვირვება საშუალებას მისცემს ეროვნულ ბანკს წინასწარ დააიდენტიფიციროს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული შესაძლო რისკები და გამოწვევები, რათა დაიგეგმოს შესაბამისი საპასუხო ნაბიჯები. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა საბაზრო ქცევის ზედამხედველობის სტრატეგიის პროექტი, რომელიც საჯარო კონსულტაციებისთვის 2025 წელს გასაჯაროვდება. დამატებით, საბაზრო ქცევის ზედამხედველობის ფარგლებში 2024 წელს განხორციელდა რამდენიმე თემატური შემოწმება.
- ◆ კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატში გენდერული მრავალფეროვნების გაუმჯობესების მიზნით, „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში“ 2022 წლის 24 აგვისტოს შევიდა [ცვლილება](#), რომლითაც კიდევ უფრო გაიზარდა გენდერული მრავალფეროვნების მოთხოვნა. კერძოდ, არაუგვიანეს 2023 წლის 1 ივნისისა, ბანკები ვალდებული იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოებში განსხვავებული სქესის წილი არანაკლებ 33 პროცენტი ყოფილიყო, ხოლო არაუგვიანეს 2025 წლის 1 ივნისისა არანაკლებ 40 პროცენტი. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ჯამურად, კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოებში ქალ წარმომადგენელთა წილი 37 პროცენტს შეადგენს, რაც დაწესებულ მოთხოვნას აჭარბებს.

- ◆ ლიკვიდობის ადეკვატურობის შეფასების პროგრამების ფარგლებში (ILAAP) ეროვნული ბანკის მიერ განხილული და შეფასებული იქნა კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილ ინფორმაცია/მასალა. შეფასების შედეგები და შესაბამისი შენიშვნები გაზიარდა ბანკებთან. ეროვნული ბანკი მოელის ბანკების მხრიდან აღნიშნული შენიშვნების საფუძველზე მოდიფიცირებული დოკუმენტაციის წარმოდგენას.
- ◆ ბანკების შიდა კაპიტალის შეფასების პროგრამის ფარგლებში (ICAAP) ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების მონაცემების შესწავლა/ანალიზი დაწყებულია. შეფასების დასრულებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე განიხილება შეფასების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების ჩარჩოში ინტეგრაციის საკითხი.
- ◆ ანგარიშგების სტანდარტების ცვლილების გათვალისწინებითა და [„ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის“](#) დამტკიცების შედეგად დღის წესრიგში დადგა საზედამხედველო სტრეს-ტესტის მეთოდოლოგიური ცვლილებები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ფარგლებში 2024 წლის ნოემბერში ეროვნულმა ბანკმა სტრეს-ტესტის საკრედიტო რისკის მოდელის განახლებასა და მის ფასს 9 სტანდარტებთან თანხვედრაში მოსაყვანად დაიწყო მუშაობა. მისიის მეორე ნაწილი 2025 წელს იგეგმება. არსებული სამსაფეხურიანი სტრესის მიდგომა შეიცვალა ორსაფეხურიანი სისტემით და მსესხებლებზე არსებული საკრედიტო რისკის დონე პირდაპირ დარდება სტრესით გამოწვეულ შედეგებს, რის შედეგადაც მიიღება საბოლოო სტრესის ეფექტი. მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს ასევე ის ფაქტი, რომ ძველი მიდგომისგან განსხვავებით, განახლებულ მეთოდოლოგიაში საქმიანობის სექტორის ბრუნვის შემცირების სტრესის ეფექტი გამოითვლება სამი განსხვავებული სცენარის შეწონვით (მსუბუქი, საბაზისო, მძიმე) და არა მხოლოდ ერთი სცენარით, რასაც ძველი მიდგომა ითვალისწინებდა. აღნიშნული ცვლილება საშუალებას იძლევა უფრო რეალისტურად მოხდეს მსესხებლის მდგრადობის შეფასება სტრესის მიმართ. მთლიანობაში უფრო კომპლექსური გახდა სექტორების სტრეს-ტესტი, რაც მეტად სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა. ჩამოთვლილი ცვლილებების გარდა, წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე სტრეს-ტესტის მეთოდოლოგიაში გაუმჯობესდა გარკვეული ტექნიკური საკითხები. ამასთან, სტრეს-ტესტების მეთოდოლოგიის დახვეწა განგრძობითი პროცესია. სტრეს-ტესტის პროცესი განხორციელდება 2025 წელს, ბანკების 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით არსებულ ფინანსურ უწყისებზე დაყრდნობით.
- ◆ საქართველოს საფინანსო სექტორში 2024 წლის ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო საკითხად, მსგავსად 2023 წლისა, კვლავ რჩება მესამე მხარიდან მომდინარე რისკების სათანადოდ მართვა. ეროვნული ბანკის კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდის მიერ გაიცა რიგგარეშე საზედამხედველო მითითებები და გაფრთხილებები, რომელთა მიზანიც იყო კომერციული ბანკების მიერ დამატებითი ღონისძიებების გატარება და რწმუნების მოპოვება მესამე მხარეების კიბერრის და ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ.
- ◆ ეროვნული ბანკის მიერ 2023 წელს დაიწყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რისკების შეფასება/განსაზღვრა, რომლის საფუძველზეც მოხდება მათთვის საოპერაციო რისკების, კიბერუსაფრთხოებისა და კორპორაციულ მართვასთან დაკავ-

შირებული მოთხოვნების შემუშავება. აღნიშნული მოემსახურება როგორც რისკების მართვის გაუმჯობესებას და გამჭვირვალობის სტანდარტის ამაღლებას, ისე ანგარიშვალდებულების ზრდას და მდგრად განვითარებას. ცვლილებით გათვალისწინებული მოთხოვნები შესაბამისობაში იქნება ორგანიზაციის მასშტაბებსა და კომპლექსურობასთან. საოპერაციო რისკებსა და კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებით შესაბამისი ნორმატიული ცვლილებები მომზადდა და აღნიშნული ცვლილებების მიღება საჯარო კონსულტაციების შემდგომ იგეგმება 2025 წლის პირველ ნახევარში. კიბერუსაფრთხოების მოთხოვნების დადგენასთან მიმართებით კი სამუშაო პროცესი გაგრძელდება.

- ◆ საბანკო სექტორში არსებული კორპორაციული მართვის სტანდარტების დახვეწისა და კიდევ უფრო გაჯანსაღების მიზნით, 2024 წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკი აქტიურად უწევდა მონიტორინგს კომერციული ბანკების პრაქტიკაში დანერგილ კორპორაციული მართვის მექანიზმებს. ზემოხსენებული, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავდა მმართველი ორგანოების საქმიანობის დაკვირვებას, რაც გამოიხატა როგორც მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულების მონიტორინგში, ისე თავად კომერციული ბანკების დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობების, კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის შემოწმებაში. კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოების საქმიანობის შეფასების პროცესში, ეროვნული ბანკის მიერ გაანალიზდა სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასების დოკუმენტები. აღნიშნული თვითშეფასების დასკვნები, გათვალისწინებული იქნა რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) ფარგლებშიც. გარდა მმართველი ორგანოების მონიტორინგისა, კომერციულ ბანკებში გადამეტებული რისკის აღების სტიმულის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ეროვნული ბანკის მხრიდან აქტიურად შემოწმდა ეროვნული ბანკის ინსტრუქციის შესაბამისად იდენტიფიცირებული მატერიალური რისკის ამღები პირების სიები. აღნიშნული, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, კოდექსით განსაზღვრული ანაზღაურების პოლიტიკების კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების პროცესში. ამასთან, ეროვნული ბანკი გასული წლის განმავლობაში აქტიურად აკვირდებოდა კოდექსითა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილი ანაზღაურების მოთხოვნების პრაქტიკულ რეალიზებას კომერციულ ბანკებში, მათ შორის, კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოებისა და მათი ანაზღაურების კომიტეტების როლსა და ფუნქციებს ზემოაღნიშნულ პროცესში. ამასთან, ანაზღაურების მოთხოვნების მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კომერციულ ბანკებში კონტროლის ფუნქციათა ანაზღაურების მეთოდოლოგიის მონიტორინგს.
- ◆ 2024 წელს საბანკო სექტორის თითოეულმა მონაწილემ მოამზადა გაჯანსაღების გეგმა, რომელიც მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შექმნისას ან/და კრიტიკული ფუნქციების შეფერხებისას, კომერციული ბანკის მიერ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კრიტიკული ფუნქციების აღსადგენად და შესანარჩუნებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს აერთიანებს. ეროვნულმა ბანკმა დოკუმენტები თითოეული ბანკის ჭრილში შეისწავლა და მარეგულირებელი წესისა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამისი უკუკავშირი განა-



ხორციელა. ზემოაღნიშნული გეგმის მიმართ მოთხოვნებს გაჯანსაღების ჩარჩოს შემადგენელი შესაბამისი წესი არეგულირებს. დოკუმენტის ფოკუსში ექცევა: გაჯანსაღების მიზნებისთვის ინდიკატორების მონიშვნა და მათი ზღვრების კალიბრაცია, გაჯანსაღების ზომების განსაზღვრა, ბანკისათვის რელევანტური მკაცრი სტრეს სცენარების გამოყენებით ფინანსური ზიანის მასშტაბისა და გაჯანსაღების ზომ(ებ)ის ეფექტურობის ტესტირება, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. დოკუმენტში ასევე ყურადღება ექცევა მმართველობითი საკითხების მონესრიგებას, რომლის მიზანია ბანკის მხრიდან ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ადრეული გამოვლენა და შემდგომი ორგანიზებული მართვა.

- ◆ უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიების დაფინანსებისა და დაუსრულებელი/მშენებარე უძრავი ქონების შესაძენად იპოთეკური სესხების გაცემის პრინციპების თაობაზე გაიდლაინის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მუშაობა დაწყებულია და მეთოდოლოგიური მხარის არსებითი ნაწილი უკვე მომზადებულია. ეროვნული ბანკი აღნიშნულ საკითხზე მუშაობას აგრძელებს.
- ◆ ეროვნული ბანკის თანაავტორობით, 2020-2023 წლებში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი შემუშავდა, რომელიც დასამტკიცებლად პარლამენტს წარედგინება. საკანონმდებლო ცვლილებები იგეგმება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონებში, და სხვა რამდენიმე ნორმატიულ აქტში. საკანონმდებლო ცვლილებების ამოცანას ეროვნული ბანკის უფლებამოსილების გაფართოება წარმოადგენს, რათა სამართლებრივი აქტით განსაზღვროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების როგორც ლიკვიდაციის, გადახდისუნარიანობის/გაკოტრების, ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების საკითხი. აღნიშნული ცვლილებები ეროვნულ ბანკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის გადახდისუნარიანოდ ან/და გაკოტრებულად გამოცხადების ერთპიროვნულ უფლებამოსილებას ანიჭებს, რაც ხელს შეუწყობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესის დროულ და ეფექტიან წარმართვას. აღნიშნული საზედამხედველო სუბიექტების ლიკვიდატორს, ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებით ადმინისტრატორს ეროვნული ბანკი დანიშნავს და ისინი ანგარიშვალდებულნი ეროვნული ბანკის წინაშე იქნებიან. კანონპროექტის დამტკიცების შედეგად განმტკიცდება ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეგულირებისა და ზედამხედველობის მიმართულებით.
- ◆ ეროვნული ბანკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბანკო სექტორში მონაცემთა ხარისხისა და სიზუსტის რისკის დაცვის მიმართულებას. ამ მხრივ, შემუშავდა საოპერაციო რისკის დანაკარგების აღრიცხვის და ანგარიშგების სახელმძღვანელო. ასევე, შემუშავების ეტაპზეა რისკების შესახებ მონაცემთა ეფექტურად აგრეგაციისა და რისკების ანგარიშგების პრინციპები. ეროვნული ბანკი მუდმივად ახორციელებს ფინანსური მონაცემების სიზუსტის, მთლიანობისა და ხარისხის შეფასებას საბანკო

სექტორში. მონაცემთა ხარისხის მართვის ფარგლებში, ყურადღება ეთმობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ბიზნესპროცესების გამართულობას, ანალიტიკური ინსტრუმენტების გაუმჯობესებას, ანგარიშგების პროცესების ავტომატიზაციის დონის ზრდას და დაკავშირებული საინფორმაციო სისტემების კომპლექსურობის შემცირებას.

- ◆ 2024 წელს სებ-ის საოპერაციო რისკების განყოფილების გუნდი აქტიურად მუშაობდა ციფრული ბანკებისა და ახალი საზღაპრადველო სუბიექტი მიკრობანკების მიმართულებით. აქტიური ჩართულობით, საოპერაციო რისკების განყოფილება მხარს უჭერს ციფრული ბანკინგის უსაფრთხო და მდგრად განვითარებას საქართველოში. ციფრულ და მიკრო ბანკებთან საოპერაციო რისკების განყოფილება განაგრძობს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს დანერგვის ზედამხედველობას.
- ◆ გასული წლის მანძილზე, საოპერაციო რისკების ზედამხედველობა აქტიურად იყო ჩართული საბანკო სექტორში ღია ბანკინგის, ციფრული ბანკინგის, პირის დისტანციური იდენტიფიკაციის, ელექტრონული ხელმოწერების პროცესებთან დაკავშირებული საოპერაციო და კიბერრისკების შესწავლასა და შეფასებაში. საქართველოში ვითარდება ღია ბანკინგი, რაც ფინანსურ სექტორში ინოვაციის ახალ შესაძლებლობებს ნერგავს. საოპერაციო რისკების განყოფილება აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში და უზრუნველყოფს პროცესთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებასა და მართვას.
- ◆ საქართველოს ეროვნული ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს საბანკო სექტორში საოპერაციო რისკების ცნობიერების ამაღლებას, საოპერაციო რისკების მართვის გაფართოებასა და საზღაპრადველო პრინციპების განვითარებას. ასევე, ამ მიმართულებით, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების, სტარტაპებისა და ფინანსური ტექნოლოგიების მიმწოდებელი კომპანიების გაციფრულების ხელშეწყობის ფარგლებში, ხორციელდება საოპერაციო რისკების მართვის პრაქტიკისა და შეფასების დანერგვაზე რეკომენდაციების გაზიარება.
- ◆ საქართველოს ეროვნული ბანკი აკვირდება საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენებს, რათა, კიბერშეტევების იდენტიფიცირების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაციის მთლიანად საბანკო სექტორისთვის მიწოდება მყისიერად განხორციელდეს. კიბერინციდენტების შესახებ კვარტალური ანგარიშების წარმოება კიბერინციდენტების ტენდენციების დინამიკის წარმოჩინების საშუალებას იძლევა. 2024 წლის მნიშვნელოვან ინციდენტებად კვლავ ფიქსირდება ფიშინგი და სისტემების შეფერხებები. ამას გარდა, 2024 წლის ფარგლებში, ისევე როგორც 2023 წელს, საბანკო სექტორში მომსახურების შეფერხების განაწილებული (DDoS) შეტევებიც ფიქსირდებოდა.

## საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა

- ◆ 2023 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა [„მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“](#) საქართველოს კანონი, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო, რომლის მიზანს წარმოადგენდა საფინანსო სექტორში საშუალო ზომის, სტაბილური ბიზნეს მოდელისა

და მაღალი რეპუტაციის მქონე ახალი ფინანსური ინსტიტუტის შექმნა, სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტების ხელშეწყობა, კონკურენციის ზრდა და საკრედიტო პროდუქტებზე საპროცენტო მარჟების შემცირება. შედეგად, ეროვნული ბანკის საზედამხედველო სუბიექტთა ჩამონათვალს დაემატა მიკრობანკი. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ეროვნულ ბანკს შესაბამისი სალიცენზიო განაცხადებით მომართეს მიკრობანკის ლიცენზიის მაძიებელმა პირებმა, ხოლო 2024 წელს აქტიურად მიმდინარეობდა მიკრობანკების ლიცენზიის მაძიებელი პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაციის შესაფერისობის შემოწმება/ანალიზი, რის საფუძველზეც 2024 წლის 5 დეკემბერს ეროვნულმა ბანკმა სს „მიკრო ბიზნეს კაპიტალზე“ (MBC) მიკრობანკის საქმიანობის პირველი ლიცენზია გასცა. სს „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ მიკრობანკის ლიცენზიის აღებამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსით ფუნქციონირებდა, მისი ძირითადი ბიზნეს მიმართულება კი მცირე მეწარმეების დაფინანსება იყო. მოგვიანებით, 2025 წლის დასაწყისში, მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია გაიცა სს „კრისტალზე“.

- ◆ 2023 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ეროვნული ბანკის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის, სხვა საჯარო და კერძო მხარეების ჩართულობით შემუშავებულ იქნა „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს დაფინანსების ალტერნატიული, კიდევ უფრო მოქნილი წყაროს ხელმისაწვდომობას. პროექტი მიმდინარეობს EBRD-ის მხარდაჭერით. პროექტის მხარდაჭერია ასევე საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC). კანონპროექტი არეგულირებს როგორც ფაქტორინგს, ისე რევერსიულ ფაქტორინგს, განსაზღვრავს გარიგების რეგისტრაციის პრინციპებს და ადგენს ფაქტორინგული პლატფორმის საქმიანობას. 2024 წელს მოხდა საკანონმდებლო პაკეტის ინიცირება საკანონმდებლო ორგანოში, ხოლო მისი მიღება 2025 წელს არის მოსალოდნელი.
- ◆ განიხილება სალიზინგო კომპანიების ეროვნული ბანკის რეგულირების დაქვემდებარებაში მოქცევისა და შესაბამისი საზედამხედველო ჩარჩოს შემუშავების საკითხი, თუმცა საგულისხმოა, რომ ეროვნული ბანკს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არ გააჩნია.
- ◆ ეროვნული ბანკის მიერ დაწყებულია მუშაობა ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების განახლებაზე და სხვადასხვა თემატიკის ფარგლებში მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარებაზე. ციფრული ბანკის ლიცენზიით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია და ინტენსიურად მიმდინარეობს როგორც შესაბამის სუბიექტებთან კონსულტაციები, ისე რამდენიმე სალიცენზიო განაცხადის განხილვა.
- ◆ პოლიტიკების პრაქტიკაში ეფექტური აღსრულების მიზნით, კონკურენციის იმპლემენტაციისა და ხელშეწყობის პოლიტიკის დახვეწა და განვითარება განგრძობითი პროცესია, რომელიც ეროვნულ ბანკში პარალელურად რამდენიმე მიმართულებით წარმოებული რეფორმების ფარგლებში მიმდინარეობს. რაც შეეხება უშუალოდ კონკურენციის მარეგულირებელ აქტებს, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების პროცესში გამოსაყენებელი სამართლებრივი ნორმების სრულყოფის მიზნით [ცვლილება](#) შევიდა „კონკურენციის შესახებ დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების

შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №67/04 ბრძანებაში. აღნიშნული ბრძანებით გაიწერა საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირსა და ეკონომიკურ აგენტს შორის ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებისა და მისი აცილების საფუძვლები, დაზუსტდა განცხადების/საჩივრის დასაშვებობის განხილვისა და ადგილზე შემოწმების პროცედურული დეტალები, საჩივრის რეკვიზიტები, საქმის მოკვლევის ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისა და კომპეტენციის საკითხები. საქმის მოკვლევის ჯგუფის შემადგენლობაში სავალდებულოდ განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული დეპარტამენტის კონკურენციის განყოფილების წარმომადგენლების მონაწილეობა და განყოფილების ერთ-ერთი წარმომადგენლის ჯგუფის თავმჯდომარედ განსაზღვრის საკითხი. აგრეთვე, შეიცვალა საქმის მოკვლევის ჯგუფის მიერ სხდომის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი. გარდა ამისა, ბრძანებით დაზუსტდა ახსნა-განმარტების მიღების მიზნით გამართულ სხდომაზე მონაწილე პირის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები, შეიცვალა საქართველოს ეროვნული ბანკის კონკურენციის კომიტეტის მიერ შემაჯამებელი სხდომის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, ასევე, საბოლოო გადაწყვეტილების პროექტის მხარეთათვის გაგზავნისა და მხარეთა მიერ წერილობითი მოსაზრებების წარმოდგენის ვადა. ბრძანებით შეიცვალა ეროვნული ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენლისთვის ადგილზე შემოწმებაში ხელის შეშლის შემთხვევაში დასაკისრებელი ფულადი ჯარიმის ოდენობა და დარეგულირდა ადგილზე შემოწმების დასრულების შემდგომ შემოწმების ოქმის შედგენის საკითხი. აგრეთვე, გაიწერა თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილე პირის/პირების თაობაზე მონაცემებისა და მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიები და დაზუსტდა სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთან თანამშრომლობის ფორმატი. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით მიღებულ იქნა აგრეთვე „ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ [საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 20 დეკემბრის №311/04 ბრძანება](#), რომლითაც დაზუსტდა, რომ კონცენტრაციის შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას, ისევე, როგორც გადაწყვეტილებას სტრუქტურული ან ქცევითი ხასიათის ღონისძიებების, ფულადი ჯარიმის ან საზედამხედველო ზომის გამოყენების შესახებ, იღებს საქართველოს ეროვნული ბანკის კონკურენციის კომიტეტი.

- ◆ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება საფინანსო სექტორში კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშეწყობის კუთხით. აღნიშნული მანდატის ფარგლებში, მიღებულია „ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანება, რომელიც შესაბამისობაშია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს

კანონით გათვალისწინებულ პრინციპებთან და არეგულირებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და მისი განხილვის წესს. ამასთან, როგორც საერთაშორისოდ, ისე საქართველოში მიღებული და დამკვიდრებული პრაქტიკაა საოპერაციო აქტივების გასხვისებასთან დაკავშირებული ტრანზაქციების თაობაზე მარეგულირებელი ორგანოს მიერ შეტყობინების მიღება და მისი შესწავლა-შეფასება, რამდენადაც აღნიშნული ტიპის ტრანზაქციას შესაძლოა შედეგობრივად იგივე ეფექტი ჰქონდეს, რაც კონცენტრაციას. შესაბამისად, გასულ წელს [ცვლილება](#) შევიდა აღნიშნულ ბრძანებაში, რომლითაც განისაზღვრა ეროვნული ბანკისთვის შეტყობინების ვალდებულებას დაქვემდებარებული სხვა ოპერაციები და ამ ოპერაციების შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები. ცვლილების თანახმად, ეროვნული ბანკი, კონცენტრაციის გარდა, ასევე შეისწავლის იმ ოპერაციასაც, რომლის მეშვეობითაც ხდება ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მეორე ეკონომიკური აგენტის აქტივების შეძენა, როდესაც აქტივების შემძენი ეკონომიკური აგენტი კომერციული ბანკი ან მიკრობანკია და ამასთან, კმაყოფილდება კონკრეტული პირობები ოპერაციას დაქვემდებარებული აქტივების საბალანსო ღირებულების ნაწილში. აღნიშნულ შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტის აქტივი გულისხმობს ისეთ ფინანსურ აქტივს (საკრედიტო პორტფელი (გარდა ჩამოწერილი საკრედიტო პორტფელისა) და სესხის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვა მოთხოვნები), რომელიც ეკონომიკური აგენტის აქტიური ბიზნეს საქმიანობის განმსაზღვრელი და შემოსავლის მომტანია. ამასთან, დადგინდა ეროვნული ბანკისთვის შესაბამისი შეტყობინების წარდგენის საფუძვლები, ვადები, წარსადგენი დოკუმენტაცია და ინფორმაცია, ისევე, როგორც ეროვნული ბანკის მიერ შეტყობინების განხილვის წესი და ბრძანების პროექტით განსაზღვრულ მოთხოვნათა გვერდის ავლის შედეგები, რაც ასევე მოიცავს ფულადი ჯარიმის დანესების შესაძლებლობას. აღნიშნული ცვლილების შემუშავებაც საჯარო კონსულტაციების ფორმატის გამოყენებით და შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მოხდა.

- ◆ კონცენტრაციების კონტროლის პროცედურა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ითვალისწინებს კონცენტრაციის მონაწილე მხარის/მხარეების უფლებას, რეგულატორს შესთავაზოს/შესთავაზონ დაგეგმილი კონცენტრაციის (ოპერაციის, ტრანზაქციის) ცვლილების/მოდიფიკაციის განხორციელება სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების სახით. სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების მიზანია აღკვეთოს კანონდარღვევა, თავიდან აიცილოს ან/და აღმოფხვრას კონცენტრაციის შედეგად გამოწვეული კონკურენციის საწინააღმდეგო ეფექტი და შეინარჩუნოს ეფექტიანი საბაზრო კონკურენცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა [გზამკვლევი „სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებები კონცენტრაციების კონტროლის დროს“](#). აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებით შესრულდა საფინანსო სექტორში კონკურენტული გარემოს შექმნის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი მისიის მიერ განხორციელებული FSAP პროგრამის ფარგლებში გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხება კონცენტრაციების კონტროლის დროს სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების შესახებ შესაბამისი გზამკვლევი დოკუმენტის მომზადებას. გზამკვლევის მიზანია, კონკურენციის კანონმდებ-

ლობაში მოცემულ შესაბამის ნორმებთან ერთად, დამატებით მიმოიხილოს ის ზოგადი პრინციპები, სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების კონკრეტული სახეები და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც წარმოადგენს ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას და გამოიყენება მონინავე ქვეყნების კონკურენციის ორგანოების მიერ.

- ◆ 2024 წელს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა [„საფინანსო სექტორში კონკურენციის სამართლის აღსრულების საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა“](#). დოკუმენტი მოიცავს საფინანსო სექტორთან მიმართებაში ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმოხილვას. მასში განხილულია ევროკავშირის კონკურენციის სამართლის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი საქმეები, რომლებიც უკავშირდება საფინანსო სექტორის სხვადასხვა სეგმენტს, მათ შორის, საბანკო სექტორს, საგადახდო სისტემებს, ფასიანი ქაღალდების ბაზარს, სავალუტო ბაზარსა და საკრედიტო ინფორმაციის გაცვლის მომსახურების ბაზარს.
- ◆ მომხმარებლის უფლებების დაცვის II საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის სააგენტოს შორის განახლებული [თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა](#), რომელიც უწყებებს შორის თანამშრომლობის მეტად მოქნილ და ეფექტიან მექანიზმებს ითვალისწინებს, როგორც კონკურენციის პოლიტიკის, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით.
- ◆ საფინანსო სექტორის შესაბამისი ბაზრ(ებ)ის მონიტორინგის კუთხით, რაც მათ შორის მოიცავს კომბინირებულ ფინანსურ პროდუქტებთან დაკავშირებული საკითხებისა და პრაქტიკის შესწავლას, ეროვნული ბანკი მუშაობს მსოფლიო ბანკის ტექნიკური მისიის ფარგლებში. ამ და სხვა საკითხებზე, რომლებიც საფინანსო სექტორში კონკურენციის გაძლიერებას ისახავს მიზნად, ეროვნული ბანკი მსოფლიო ბანკის გუნდთან მჭიდროდ თანამშრომლობს და რიგი რეკომენდაციების მიღებას 2025 წლის ბოლომდე მოეღის.
- ◆ ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწის მხრივ 2025 წლის განმავლობაში იგეგმება შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრა და შემუშავება, რომელმაც ამავდროულად უნდა განსაზღვროს ვალუტის უნაღდო კონვერტაციის შესაძლებლობა და შესაბამისი საზედამხედველო საკითხები.
- ◆ მიმდინარეობს მუშაობა ეროვნული ბანკის მიერ რეგულაციის ზეგავლენის შეფასების განხორციელების მეთოდოლოგიაზე (RIA). აღნიშნული მეთოდოლოგიის შემუშავება და შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა კონკურენციაზე გავლენის შეფასების ჭრილში FSAP პროგრამის ფარგლებში მიღებულ რეკომენდაციათაგან ერთ-ერთია. თუმცა, საგულისხმოა, რომ ეროვნული ბანკის ინიციატივით, აღნიშნული მეთოდოლოგიის მოქმედების სფერო უფრო ფართო მოიაზრება, ვიდრე მხოლოდ კონკურენციაზე გავლენის შეფასებაა.
- ◆ მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით მომხმარებელზე მორგებული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, 2024 წელს კვლავ გაგრძელდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ასევე, სექტორში არსებული გამოწვევების შესწავლა და ანალიზი. ასევე, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48/EC მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების შესახებ დირექტივასთან დაახლოე-

ბისა და საფინანსო სექტორში არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით მიღებულ იქნა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განვითარებას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 29 მაისის №131/04 ბრძანება.

- o აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრად ისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებზე უარის თქმის უფლება და გამონაკლისები, თუ რა შემთხვევაში არ ვრცელდება აღნიშნული უფლება. დამატებით, მოწესრიგდა უარის თქმის უფლება სპეციფიკურ საკრედიტო ხელშეკრულებებზე, მიუხედავად იმისა, თუ რა არხით არის აღნიშნული ხელშეკრულება დადებული. ბრძანებით გათვალისწინებულია, რომ უარის თქმის უფლების და ამ უფლების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი პირობების შესახებ ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს ხელშეკრულებაში.
- o ბრძანებით აგრეთვე განისაზღვრა, რომ ხელშეკრულების თავსართში სავალდებულოდ უნდა მიეთითოს ინფორმაცია, როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების არსებობის, ისე, არარსებობის შემთხვევაში, ასევე, ინფორმაცია, კრედიტის ვადის უპირობოდ გახანგრძლივების უფლების შესახებ, თუ კრედიტი გაცემულია „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანების გათვალისწინებით, კერძოდ, თუ მომხმარებელს აქვს კრედიტის/კრედიტების ვადის უპირობოდ გახანგრძლივების უფლებამოსილება.
- o ბრძანებით დაზუსტდა ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულება, რომ ინტერნეტბანკში/მობაილბანკში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახადოს იმ საფინანსო პროდუქტებთან დაკავშირებული მომხმარებლის მიერ გადახდილი/გადასახდელი ხარჯები, რომლითაც სარგებლობს მომხმარებელი, ასევე, სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის საპროცენტო განაკვეთი და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, დეპოზიტის შემთხვევაში, ის მინიმალური ნაშთი, რომელსაც ერიცხება საპროცენტო განაკვეთი და ინფორმაცია იმის შესახებ, პროცენტი ერიცხება ყოველი დღის ბოლოს არსებულ ნაშთს, თუ თვის განმავლობაში ანგარიშზე არსებულ მინიმალურ ნაშთს. გარდა ამისა, განისაზღვრა სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლის წესი და სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის საპროცენტო და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელობების განახლების ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მათი მნიშვნელობები იცვლება.
- o გარდა ზემოხსენებულისა, არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის გამოსარიცხად, დაზუსტდა „საკრედიტო შუამავლისა“ და „კრედიტის მთლიანი თანხის“ ცნებები. აღნიშნულიდან გამომდინარე მიღებულ იქნა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტების, სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის გამოთვლის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გათვალისწინების წესის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული

ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №194/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 29 მაისის №132/04 ბრძანება, რომელშიც აგრეთვე დაზუსტდა „საკრედიტო შუამავლისა“ და „სესხის მთლიანი თანხის“ დეფინიციები.

- ◆ სექტორში კონკურენტული გარემოს გაძლიერებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით ეროვნულმა ბანკმა წესის კიდევ ერთ ცვლილებაზე მუშაობა დაიწყო, რაც სესხის/კრედიტის ერთი ფინანსური ორგანიზაციიდან მეორეში რეფინანსირების შემთხვევაში წინსწრების საკომისიოს შემცირებას გულისხმობს. [ცვლილებები](#) 2025 წლიდან შედის ძალაში.
- ◆ ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მონიტორინგის მიზნით, ბაზარზე არსებული გამოწვევების დაკვირვების შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკი 2024 წელსაც აქტიურად აგრძელებდა მის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების დისტანციურად შემოწმებას. ამასთან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, 2024 წელს გარდა სტანდარტული შემოწმებებისა, საბაზრო ქცევის ზედამხედველობის ჭრილში განხორციელდა თემატური შემოწმებები. მაგალითად, სესხის ამოღების პროცესში, მათ შორის, 2022 წლის 17 თებერვლის №14/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის“ („ეთიკის კოდექსი“) მოთხოვნების დაცვის მონიტორინგის მიზნით 2024 წელს დაიწყო ფინანსური ორგანიზაციების ადგილზე შესაბამისი თემატური შემოწმება. აღსანიშნავია, რომ ეს თემატური შემოწმება ფინანსური ორგანიზაციების რაოდენობიდან გამომდინარე, 2025 წელსაც გაგრძელდება. სხვადასხვა თემატური შემოწმებების ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2024 წელს ჯამში 15 (თხუთმეტი) ფინანსური ორგანიზაცია შემოწმდა. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ 2025 წლიდან იგეგმება თემატური შემოწმებების ფარგლებში გამოვლენილი პრაქტიკების შესახებ კონსოლიდირებული ინფორმაციის გასაჯაროება.
- ◆ 2024 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ფონდი „შპარკასე საქართველოსთვის“ დაფინანსებითა და კვლევითი კომპანია „ეისითი კვლევის“ ჩართულობით ფინანსურ სექტორში მისტიური მყიდველის კვლევა ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა კვლევისთვის შერჩეული კომერციული ბანკების მიერ მომხმარებლებისთვის განეული მომსახურების პროცესის „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განევისას მომხმარებლის უფლებების დაცვის წესის“ მოთხოვნებთან შესაბამისობა. კერძოდ, დაკვირვება განხორციელდა სესხის/კრედიტის შეთავაზებისას და ხელშეკრულების გაფორმებისას პირდაპირი კომუნიკაციის არხით მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესებზე. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა გარკვეული ტიპის ნაკლოვანებები, რასთან დაკავშირებითაც შესაბამის ფინანსურ ორგანიზაციებთან განხორციელდა კომუნიკაცია და მათთან ერთად მიმდინარეობს აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრაზე მუშაობა, რაც, მათ შორის, 2025 წელსაც გაგრძელდება.
- ◆ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ფინანსურ სექტორში მომხმარებლის კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, უფლებების დარღვევის პრევენციის, დადგენილი



მოთხოვნების ეფექტიანი აღსრულების, აგრეთვე, დარღვევებზე სათანადო რეაგირებისა და სანქციის - ფულადი ჯარიმის დაკისრების მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილების დაზუსტების მიზნით მიღებულ იქნა:

- o [„კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე](#) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 18 იანვრის №6/04 ბრძანება;
- o [„მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის №16/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ](#) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 18 იანვრის №7/04 ბრძანება;
- o [„სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №218/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ](#) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 18 იანვრის №8/04 ბრძანება;
- o [„მიკრობანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №123/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე](#) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 18 იანვრის №9/04 ბრძანება.

აღნიშნული ბრძანებებით განისაზღვრა ფულადი ჯარიმის ოდენობები „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მოთხოვნების დარღვევისთვის. ამასთან, ფულადი ჯარიმის კონკრეტული ოდენობა დადგინდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული პრაქტიკისა და დარღვევის მნიშვნელობის/სერიოზულობის გათვალისწინებით.

## ფინანსური ინოვაციების ნახალისება და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება

- ◆ საფინანსო სექტორში ინოვაციების და ინოვაციური ორგანიზაციების წილი მზარდია, რასაც, როგორც ახალი შესაძლებლობები, ასევე ახალი რისკებიც მოაქვს. პარალელურად, საფინანსო სექტორი მთელ მსოფლიოში ეკონომიკის ყველაზე მეტად რეგულირებად სექტორად რჩება. უფრო მეტიც, ამ რეგულირებას მზარდი ტენდენცია აქვს. შედეგად, თანამედროვე საზედამხედველო ჩარჩო საკმაოდ მოცულობითი, ტექნიკური და კომპლექსურია, განსაკუთრებით ახალი საფინანსო სტარტაპებისთვის. აღნიშნულის ფონზე, საფინანსო სექტორის მარეგულირებლებისათვის ფინტექ იდეების მქონე ინოვატორების ნახალისება და ამ იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ გამოწვევის საპასუხოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა საზედამხედველო მიდგომას

ავითარებს და ფინტექსაქმიანობისათვის საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნას უწყობს ხელს.

- ◆ ღია ბანკინგი თანამედროვე ციფრული ფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია, რომელიც მომხმარებელს საბანკო სერვისებზე მოქნილ და უსაფრთხო წვდომას სთავაზობს ღია API (Application Programming Interface) ინტეგრაციის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა გაცვლას ბანკებს, ფინანსურ ინსტიტუტებსა და ფინტექ კომპანიებს შორის. ეს მოდელი ხელს უწყობს ინოვაციებს და ზრდის სექტორის ეფექტიანობას. ღია ბანკინგის პროექტზე მუშაობა საქართველოს ეროვნულ ბანკში 2019 წელს დაიწყო. 2020 წლის დასაწყისში საქართველოს საბანკო ასოციაციის ფარგლებში შეიქმნა ღია ბანკინგის კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვისთვის საჭირო საერთო სტანდარტის შემუშავება და პროექტის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. 2021 წლის 31 მარტიდან საქართველოში ღია ბანკინგის სერვისები უკვე ხელმისაწვდომია. 2024 წლამდე დაინერგა შემდეგი API სერვისები: საგადახდო ანგარიშების ინფორმაციის გაცვლა, სტანდარტულ პროდუქტებზე ინფორმაციის გაცვლა, გადახდის ინიცირების სერვისი, ღია ბანკინგის გამოყენებით დისტანციური იდენტიფიკაციის განხორციელების სერვისი და მასობრივი გადახდების (Bulk Payments) სერვისი. გარდა უკვე არსებული სერვისებისა, 2024 წელს დამატებით ხელმისაწვდომი გახდა ახალი ტიპის API სერვისები:

- მრავალჯერადი/განმეორებითი გადახდების ინიცირების სერვისი;
- მომავლის თარიღით გადახდის ინიცირების სერვისი;
- ცვლადი განმეორებადი გადახდები;
- დეპოზიტებზე ინფორმაციის გაზიარების სერვისი;
- სესხებზე ინფორმაციის გაზიარების სერვისი.

ახალი API სერვისები საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით ხორციელდება და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს ფინანსური ეკოსისტემის მოდერნიზაციაში, მათ შორის, კონკურენტუნარიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდაში. გარდა ამისა, ახალი API სერვისების დანერგვა ასევე, ხელს შეუწყობს განსხვავებული ბიზნეს მოდელების შექმნას. მიმდინარეობს კონსულტაციები საბანკო/არასაბანკო სექტორთან და მოთხოვნის შესაბამისად განისაზღვრება ახალი API სერვისები.

- ◆ 2024 წელს აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოში ღია ბანკინგის სერვისების გაფართოებისა და ფინტექ კომპანიების ღია ბანკინგში ჩართვის მიმართულებით. წინა წლის მსგავსად, 2024 წელსაც ღია ბანკინგის შესაძლებლობებისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით არაერთი ინდივიდუალური შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ როგორც, ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სუბიექტები, ასევე, ფინტექ კომპანიები, რაც ხელს უწყობს ღია ბანკინგის ეკოსისტემის ფორმირებას და მონაწილე სუბიექტებისთვის ღია ბანკინგის სარგებელზე ინფორმაციის მიწოდებას.

ღია ბანკინგის მიმართ ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა არასაბანკო სექტორში. 2024 წელს ღია ბანკინგში ჩაერთო ორი არასაბანკო სუბიექტი, ხოლო 2025 წლის დასაწყისში დამატებით ორი არასაბანკო ორგანიზაცია გახდა მისი ნაწილი. ეს ტენდენცია ცხადყოფს, რომ ღია ბანკინგის სერვისები სულ უფრო მოთხოვნადი ხდება სხვადასხვა ტიპის ფინანსური მომსახურების პროვაიდერებისთვის.

ღია ბანკინგის განვითარების შემდეგი ეტაპი ღია ფინანსებზე გადასვლაა, რაც ღია ბანკინგის კონცეფციის გაფართოებასა და მეტად ფართო ფინანსური მონაცემების მიმოცვლას მოიაზრებს. ღია ფინანსები საშუალებას მისცემს მომხმარებლებს, არა მხოლოდ საბანკო ანგარიშების, არამედ დაზღვევის, ინვესტიციების, საპენსიო ფონდებისა და სხვა ფინანსური სერვისების მონაცემების მართვისა და გამოყენების შესაძლებლობა ჰქონდეთ ერთიან, უსაფრთხო და რეგულირებული ინფრასტრუქტურის ფარგლებში.

საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს ღია ბანკინგის ეკოსისტემის გაძლიერებას, მონაცემთა უსაფრთხოებისა და რეგულირების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ფინანსური სექტორის ციფრულ ტრანსფორმაციასა და ინოვაციური სერვისების განვითარებას.

- ◆ საქართველოს ეროვნული ბანკი ფინტექის განვითარების ეროვნულ სტრატეგიას ამზადებს. სტრატეგიის მიზანია დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე, რათა თანმიმდევრული და კოორდინირებული ნაბიჯები გადაიდგას ინკლუზიური და ინოვაციური ფინტექ ეკოსისტემის განვითარებისკენ. დოკუმენტი მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით მზადდება. ქვეყნის შიგნით ფინტექის განვითარების სტრატეგია ხელს შეუწყობს ახალი მოთამაშეებისთვის ბაზარზე შესვლის ბარიერების შემსუბუქებასა და თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებას ისეთი პროექტებით, როგორებიცაა ღია ბანკინგის/ფინანსების განვითარება, რეგულირების ლაბორატორია, „ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა (CBDC), როგორც ეკოსისტემა,“ მყისიერი გადახდების სისტემის დანერგვა და სხვა. საერთაშორისო დონეზე ფინტექ-სტრატეგიის მიზანი შუა დერეფნის ქვეყნებისთვის საქართველოს რეგიონულ ფინტექ ჰაბად პოზიციონირებაა. ამისათვის ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობს რეგიონის ქვეყნებთან და ცდილობს მათ მოტივირებას. ამასთან, მუშავდება რეგულირების საერთაშორისო ლაბორატორიის კონცეფცია, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის რეგულაციურ ჰარმონიზაციას, თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და უცხოური ფინტექ კომპანიებისა და ტალანტის მოზიდვას საქართველოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფინტექის განვითარების სტრატეგიული ხედვა სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

- პროაქტიული მარეგულირებელი პოლიტიკის გატარება, რომელიც ფინანსურ სექტორში რეგულაციით ხელშეწყობილი ინოვაციების (regulatory-driven innovations) დანერგვას წაახალისებს.
- განვითარების ადრეულ ეტაპზე არსებული ტექნოლოგიების ტესტირება და დანერგვა თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთი პრიორიტეტი ბლოკჩეინზე დაფუძნებული ფინანსური ინფრასტრუქტურის უპირატესობების იდენტიფიცირება და მათი მეშვეობით არსებული ფინანსური სისტემების ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაზრდაა, რაც ფინანსურ სექტორს ტექნოლოგიებით ხელშეწყობილი ინოვაციების (technology-driven innovations) დანერგვაში დაეხმარება.
- „საქართველოს მიღმა“ („Beyond-Georgia“) ფინტექ-ეკოსისტემის ხელშეწყობა.

საქართველოს, როგორც პატარა, ღია ეკონომიკის ქვეყანას, ბაზრის მასშტაბირების შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. შესაბამისად, აქცენტი კეთდება ისეთ ინიციატივებზე, რომლებიც ფინტექის ბაზრის მხარდაჭერის კუთხით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

იმისათვის, რომ ფინტექ სტრატეგიაში მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული თითოეული დაინტერესებული მხარის ინტერესი, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2024 წლის ნოემბერში სტრატეგიის პირველადი ვერსია გამოაქვეყნა და შესაბამის კერძო და საჯარო უწყებებს აქტიური კომუნიკაციისა და სტრატეგიის შესახებ საკუთარი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გაზიარებისკენ მოუწოდა.

სხვადასხვა კერძო და საჯარო უწყებამ სტრატეგიასთან დაკავშირებით მრავლისმომცველი უკუკავშირი მოგვანოდა, რომელიც ეროვნულმა ბანკმა თითოეულ უწყებასთან აქტიური კომუნიკაციის პროცესში განიხილა და ასახა სტრატეგიის დოკუმენტში.

ფინტექ სტრატეგიის შემუშავების შემდგომი ნაბიჯები მიმართული იქნება დოკუმენტის საბოლოო ვერსიისა და სამოქმედო გეგმის მომზადებისკენ აქტიური საჯარო-კერძო თანამშრომლობის საფუძველზე.

- ◆ ფინანსური ინოვაციების ოფისი საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ფინანსური ტექნოლოგიების ინოვაციურთა საზოგადოებას შორის კომუნიკაციის საშუალებაა. ფინანსური ინოვაციების ოფისის მისიაა ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიან ინოვაციებს ფინანსურ სექტორში და დაეხმაროს ფინტექ ორგანიზაციებს/სტარტაპებს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების საზედამხედველო მიდგომის გაცნობაში. 2024 წლის განმავლობაში ფინანსური ინოვაციების ოფისის ფარგლებში ასამდე პირს გაენია დახმარება და კონსულტაცია, ასევე ჩატარდა მნიშვნელოვანი შეხვედრები ინოვაციური იდეების მქონე პირებთან. ფინანსურ სექტორში არსებულ ინოვაციებთან დაკავშირებით ინოვაციების ოფისი წლის მანძილზე მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, არსებული სიახლეების და საზედამხედველო მიდგომების გასაცნობად.
- ◆ რეგულირების ლაბორატორია წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობისა და განვითარების მიმართულებით. ის საშუალებას იძლევა ინოვაციური პროდუქტის ან სერვისის ტესტირება მოხდეს რეალურ გარემოში, რაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ახალი ტექნოლოგიების და ბიზნეს მოდელების ეფექტური დანერგვისა და მათი რეგულირების პროცესის შემუშავებისას. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს პრაქტიკულ ანალიზს და რეალურ პირობებში ინოვაციების დანერგვისას საჭირო რეგულაციების შესაბამისობას. 2024 წელს რეგულირების ლაბორატორიის „რეალურ გარემოში ტესტირების“ ეტაპზე გადავიდა სამი ახალი სუბიექტი, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ განსხვავებული შინაარსის ინოვაციური პროექტები. აღნიშნული პროექტები მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა კრიპტოვალუტით უზრუნველყოფილი სესხები, საკრედიტო-საინფორმაციო პლატფორმა და ონლაინ ვალუტის გადაცვლის სერვისი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული ინიციატივების მონიტორინგი, მათი პრაქტიკული შედეგების შეფასება და ბაზარზე მათი პოტენციური ზემოქმედების ანალიზი. გარდა ამისა, განხილვის პროცესშია დამატებით ხუთი სხვადასხვა პროექტი, რომლებიც სხვადასხვა მიმართულების ფინანსურ და ტექნოლოგიურ ინოვაციებს მოიცავს.

- ◆ 2024 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამიზნე სენდბოქსის ინიცირებას ტოკენიზებული დეპოზიტების და სახალხო დაფინანსების (crowdfunding) მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობდა მასალების კვლევა, არსებული პრაქტიკების შესწავლა და შესაბამისი საკანონმდებლო და ტექნოლოგიური ჩარჩოს ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს რეგულირებადი და ინოვაციური გარემოს ჩამოყალიბებას.
- ◆ 2024 წლის ბოლოს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ჩართულობით დაიწყო აქტიური მუშაობა საერთაშორისო (cross-border) რეგულირების სენდბოქსის შექმნაზე, რომელიც ხორციელდება აზერბაიჯანის ცენტრალურ ბანკთან თანამშრომლობით. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს ფინტექ ეკოსისტემის განვითარებას რეგიონულ დონეზე, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების ტესტირებას საზღვრის მიღმა, უსაფრთხო და რეგულირებად გარემოში.
- ◆ რეგულირების ლაბორატორიის განვითარების, მათ შორის, მისი გამოყენების არეალის გაფართოებისა და არარეგულირებად სუბიექტებთან მიმართებით გამოყენების მხრივ, გეგმები ასახულია ფინტექის განვითარების ეროვნულ სტრატეგიაში და დიდწილად იგი დამოკიდებულია საკანონმდებლო ცვლილებებზე.
- ◆ ციფრულ ბანკად ლიცენზირებისთვის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების სათანადოდ უზრუნველყოფა კვლავ აქტუალური საკითხია. 2024 წლის მანძილზე ეროვნული ბანკის კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდი კვლავ აქტიურად მონაწილეობდა ციფრული ბანკების როგორც ზედამხედველობის, ასევე, ახალი სუბიექტის ლიცენზირების პროცესში.
- ◆ საქართველოს ეროვნული ბანკი 2024 წელს აქტიურად აგრძელებდა XBRL სტანდარტის გამოყენებას საზედამხედველო ანგარიშგებების ეფექტური მიმოცვლისთვის. პროცესში ბანკი კვლავ ეყრდნობოდა საინფორმაციო სისტემის მომწოდებელ წამყვან ბრიტანულ კომპანია – Corefiling-ს, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიურ მხარდაჭერას და შესაბამისი სისტემების ფუნქციონირებას. XBRL-ის ფარგლებში საზედამხედველო ანგარიშგების პროცესი სტანდარტიზებული და ავტომატიზებულია, რაც საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკებსა და სხვა საზედამხედველო სუბიექტებს მონაცემების მიწოდება როგორც ტრადიციულ, ასევე, XBRL ფორმატში. მონაცემების სისწორე მოწმდება ტაქსონომიის შესაბამისად, ხოლო ბანკებს შესაძლებლობა აქვთ წინასწარ შეამოწმონ ვალიდაციის შედეგები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს არასწორი მონაცემების წარმოდგენის რისკს და აუმჯობესებს მონაცემთა ხარისხს.
- ◆ IFRS სტანდარტით ანგარიშგებების მიღება კვლავ პრიორიტეტული მიმართულება იყო. კომერციული ბანკებიდან ყველა სავალდებულო საზედამხედველო ანგარიშგება მიიღება როგორც ტრადიციულ, ასევე, XBRL ფორმატში. ამასთან, 2024 წელს მიმდინარეობდა ადგილობრივი ანგარიშგებებისთვის XBRL ტაქსონომიის შემუშავება, რაც ხელს უწყობს მონაცემთა სტანდარტიზაციასა და რეგულაციების გამჭვირვალე შესრულებას. პარალელურად, EBA-CRD IV ტაქსონომია აქტიურად გამოიყენებოდა FIN-REP ანგარიშგებისთვის, რაც ევროკავშირის საბანკო რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას ემსახურება.

- ◆ საზედამხედველო პროცესების ეფექტიანობის გასაზრდელად, ეროვნული ბანკი იყენებს შიდა დეველოპმენტის შედეგად შექმნილ აპლიკაციას, რომელიც მუდმივად განიცდის განახლებას და ოპტიმიზაციას. ეს პლატფორმა უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებას, ანალიზსა და საზედამხედველო საქმიანობის უფრო სტრუქტურირებულ წარმართვას. მონაცემთა ანალიზისა და ვიზუალიზაციის პროცესების გასაუმჯობესებლად 2024 წელს განხორციელდა Power BI-ზე გადასვლა, რომელმაც ჩაანაცვლა არსებული Business Intelligence სისტემა. Power BI-ის დანერგვამ შესაძლებელი გახადა მონაცემთა უფრო მოქნილი ანალიზი, დინამიკური და ინტერაქტიული დეშორდების შექმნა, რაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა საზედამხედველო პროცესში ჩართული სხვადასხვა მხარეებისთვის.
- ◆ ეროვნული ბანკი 2024 წელს კვლავ აქტიურად ავითარებდა მონაცემთა სტანდარტიზაციის, გამჭვირვალობისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებებს, რაც საბოლოოდ, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს რეგულაციურ და საზედამხედველო პროცესებს ქვეყანაში.
- ◆ საფინანსო სექტორში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა სტატისტიკური მოდელების გამოყენება სულ უფრო ფართო სახეს იძენს. ასეთი მოდელები სესხის გაცემის, ფინანსური აღრიცხვის და რისკების მართვისას ფართოდ გამოიყენება. განსაკუთრებით იზრდება მათემატიკურ-სტატისტიკური მოდელების გამოყენება საცალო, მიკრო და მცირე ბიზნესის სექტორის დაკრედიტებისას. ბოლო დროს ისეთი მოდელების დანერგვა გახშირდა, რომლებიც მანქანური სწავლების და ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს ეფუძნება. ეს, ერთი მხრივ, მოდელის ეფექტიანობას ზრდის, მაგრამ მეორე მხრივ, შედეგების ინტერპრეტაციას, ანალიზს და რისკის შეფასებას ართულებს. მოდელების მიმართულებით მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება განგრძობითი პროცესია, თუმცა შესაძლოა ჩაითვალოს, რომ საზედამხედველო სტრატეგიის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობების შესრულდა. შემდგომი გაუმჯობესებისთვის კი მუშაობა გრძელდება.
  - სექტორში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, დღის წესრიგში მოდელის ეთიკური გამოყენების ჩარჩოს შემუშავების აუცილებლობა დადგა. საპასუხოდ, დებულებაში მოდელის განვითარების, დანერგვისა და გამოყენების პროცესში გასათვალისწინებელი ეთიკის პრინციპები და მოდელის შესაძლო არაეთიკური გამოყენების შემცირების გზები განისაზღვრა. ეთიკის პრინციპების გარეშე აგებულმა მოდელმა შესაძლოა მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფი უსამართლოდ დააკლასიფიციროს და მისი უფლებები შეზღუდოს;
  - რისკზე დაფუძნებული მიდგომის გაფართოება – დებულების ცვლილების ფარგლებში, შემუშავდა რისკიანობის მიხედვით მოდელების რანჟირების/დაჯგუფების მეთოდოლოგია;
  - მოდელის გამომყენებელი სუბიექტების მიერ სტატისტიკური მეთოდის საშუალებით მოდელის გამჭვირვალობისა და ინტერპრეტირებადობის უზრუნველყოფა - ამ ცვლილებით მოდელების გამომყენებლებს შეეზღუდათ „შავი ყუთების“ გამოყენება და მოდელის შედეგებზე პასუხისგებლობის მოდელის შემქმნელზე გადატანა.

- ✦ ეროვნულ ბანკში IFRS 9 სტანდარტის შემოღებასთან დაკავშირებით საფინანსო ინსტიტუტებში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვის მოდელები ინერგება. მოდელის სირთულიდან და ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ზეგავლენიდან გამომდინარე, ეს მოდელები მაღალი რისკის მატარებლებია. 2023 წელს დაწყებულ იქნა აღნიშნული მოდელებისა და მეთოდოლოგიების გარჩევა და რამდენიმე ბანკთან უკვე შედგა უკუკავშირი. 2025 წელს გაგრძელდება მოდელების ანალიზი და მაქსიმალურად მოხდება იმ ხარვეზების იდენტიფიკაცია, რასაც შეუძლია მოდელის რისკის წარმოშობა.
- ✦ ციფრულ ლართან მიმართებით 2023 წლის ბოლოდან ეროვნულმა ბანკმა, ტექნოლოგიურ და ტექნიკურ პარტნიორთან ერთად განახორციელა საპილოტე პროექტის პირველი ფაზა, რომელიც მიზანმიმართული იყო მოთხოვნების გააზრება/სტრუქტურირებაზე და საბაზისო გამოსაცდელი სცენარების პრიორიტიზირებაზე. ასევე, პროექტის განვითარების გეგმის შემუშავების ფარგლებში განხორციელდა ბექლოგების დაგეგმარება, შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნა, პროექტის ვადების განსაზღვრა და დამატებითი მესამე მხარეების ონბორდინგი. განსაზღვრული საბაზისო ტესტირების სცენარების დისკრიფციის საფუძველზე, ტექნოლოგიურმა და ტექნიკურმა პარტნიორებმა, მესამე მოწვეული მხარეების დახმარებით, 2024 წლის ივლისიდან დაიწყეს შესაბამისი პლატფორმების და ტექნიკური ინსტრუმენტების შექმნა/გამართვა, რამაც 2024 წლის იანვრიდან ეროვნულ ბანკს მისცა შესაძლებლობა, დაეწყო საპილოტე პროექტის ფარგლებში გამოსაცდელი საბაზისო სცენარების ექვსკვირიანი ტესტირება. საპილოტე პროექტის ფარგლებში, გამოიცადა ხუთივე საბაზისო სცენარი. რაც შეეხება ეროვნული ბანკის ჩართულობას, აღსანიშნავია, რომ საპილოტე პროექტის ფარგლებში დარეგისტრირდა ორასზე მეტი თანამშრომელი და განხორციელდა ნახევარ მილიონზე მეტი ტრანზაქცია. პროექტის დასრულების შემდეგ, ტექნოლოგიურ და ტექნიკურ პარტნიორთან ერთად, გაკეთდა შემაჯამებელი რეპორტი, ხოლო მომდევნო პერიოდში ეროვნული ბანკი მოამზადებს ახალ რეპორტს, რომელიც მიზანმიმართული იქნება პილოტის ფარგლებში მიღებული შედეგების ინტერპრეტირებაზე. აღნიშნულმა ხელი უნდა შეუწყოს ციფრული ლარის პროექტის შემდეგი ნაბიჯების განსაზღვრას.
- ✦ 2023 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეარჩია შეზღუდული წვდომის რეალურ გარემოში გასამართი საპილოტე პროექტის ტექნოლოგიური კომპანია - Ripple-ი, რომელიც ეროვნულ ბანკთან ერთად მომდევნო წელიწად ნახევრის მანძილზე იმუშავებს ოთხი გამოსაცდელი გამოყენების სცენარის დანერგვაზე. გამოყენების სცენარები მოიცავს სახელფასო ჩარიცხვებს; საკოლექციო მონეტის ტოკენიზაციას; გონიერი კონტრაქტების მეშვეობით უძრავი ქონების შეძენას; და კაპიტალის ბაზრის ფინანსური ინსტრუმენტების ტოკენიზაციას. ტექნოლოგიურ პარტნიორთან განისაზღვრა პროექტის განხორციელების ორფაზიანი გეგმა, სადაც ამჟამად მიმდინარეობს პირველი ფაზის ფარგლებში პროექტის განხორციელების გეგმის შემუშავება. აღნიშნული მოიცავს გამოყენების სცენარების დასანერგად ტექნოლოგიური და დიზაინის კომპონენტების განსაზღვრას და შესაბამისი პოტენციური სთეიქჰოლდერების იდენტიფიკაცია/მოზიდვას. დამატებით, მომზადდება მკაფიო KPI და შუალედური შეფასების კრიტერიუმები, რაზე დაყრდნობითაც მოხდება პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგების შეფასება.

- ◆ 2024 წელს გაგრძელდა კვლევა, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2023 წელს USAID-თან თანამშრომლობის ფარგლებში დაიწყო „გონიერი კონტრაქტების“ მიმართულებით. აღნიშნული კვლევის ძირითადი მიზანი იყო „გონიერი კონტრაქტების“ სამართლებრივი გამოწვევებისა და იმ შეზღუდვების დადგენა, რომლებიც არსებობს სამოქალაქო კოდექსში თუ სხვა საკანონმდებლო აქტებში და მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკების მოკვლევა. შესაბამისი სამართლებრივი და ტექნიკური რეპორტები მომზადდა, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სრულყოფილი წარმოდგენა გონიერი კონტრაქტების გამოწვევებზე საბანკო და სხვა სექტორებში. ამას გარდა, გონიერი კონტრაქტების იდეა არის ქვაკუთხედი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებულ ციფრული ლარის ეკოსისტემაში. აღნიშნული კონტრაქტების გამოყენების შესაძლებლობა მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფინტექ კომპანიებისთვის, რათა მათ შეძლონ ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება მომხმარებლისთვის. გამოვლენილი საკითხების შესაბამისად კი მუშაობა გაგრძელდება. ამასთან, ეროვნული ბანკისა და Mastercard-ის საერთო პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა საქართველოს ბაზარზე რელევანტური DLT და „გონიერ კონტრაქტებთან“ დაკავშირებული ბიზნეს მოდელები. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის გუნდი აქტიურად იკვლევს სტაბილურ ქოინებთან დაკავშირებულ საერთაშორისო პრაქტიკას. შესაძლოა ითქვას, რომ აქტივობის კვლევითი ნაწილები დასრულებულია და ეროვნული ბანკის სამომავლო ნაბიჯები უკავშირდება უკვე საუკეთესო მიდგომების გამოვლენასა და მათი დანერგვის მიზნით შემდგომ სამუშაოებს.
- ◆ „ჩაშენებული ფინანსების“ ნახალისების მიზნით, ეროვნული ბანკი 2024 წელსაც განაგრძობდა სექტორთან მუდმივ კომუნიკაციას, შესაძლებლობების გაცნობის მიზნით. სიახლეების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ასევე მზადაა გამოიყენოს რეგულირების ლაბორატორია.
- ◆ 2024 წელსაც განხორციელდა [ცვლილება](#) საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ზედამხედველობისთვის შემუშავებულ წესებში, რომლის ფარგლებშიც სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებთან ერთად, ბიუროს დაემატა საქმიანობის ახალი სახეობა, რაც დაკავშირებულია მომხმარებლის იდენტიფიკაციის სერვისთან. ბრძანებით განისაზღვრა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის ნებადართული საქმიანობის ახალი სახე - მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სესხის გამცემი ორგანიზაციის და ინფორმაციის მიმღების/მიმწოდებლის ციფრულ არხებში პირის (მონაცემთა სუბიექტის) იდენტიფიკაციის სერვისის მიწოდება, ამ პირის (მონაცემთა სუბიექტის) თანხმობის მოპოვებისა და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში მასზე დაცული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით. ამასთან, ბრძანებით დადგინდა, რომ საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს/პლატფორმის რეგისტრაციის ეტაპზე სავალდებულო არ არის ტექნიკური აუდიტის დასკვნის წარდგენა. ასევე, განისაზღვრა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს/პლატფორმის რეგისტრაციის გაუქმების ახალი საფუძველი, კერძოდ, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს/პლატფორმის მიერ რეგისტრაციის დღიდან 12 თვის განმავლობაში საქმიანობის განუხორციელებლობა, ხოლო მოქმედი საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს/პლატფორმის მიერ, საქმიანობის 6 თვეზე მეტი ხნით შეწყვეტა. ბრძანებით დაზუსტდა, რომ საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ვალდებულება, დააბღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა,



მოიცავს, მათ შორის, კიბერრისკის დაზღვევის ვალდებულებასაც.

ასევე, იზრდება ინტერესი 2022 წელს განხორციელებული ცვლილებით დაშვებული საკრედიტო საინფორმაციო ბიურო - პლატფორმის რეგისტრაციის მიმართ.

- o 2024 წელს მიმდინარეობდა საკრედიტო რეესტრის მონაცემების სიზუსტესთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრა, რომლის ძირითადი ნაწილი აღმოფხვრილია. საკრედიტო რეესტრის მონაცემების სისწორის ანალიზისთვის გამოყენებული იყო კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი სხვადასხვა რეპორტები. 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით საკრედიტო რეესტრის ფორმა შესაბამისობაშია IFRS რეპორტებთან. საკრედიტო რეესტრი, რომელიც მსოფლიო ბანკის სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციების საფუძველზე შეიქმნა, არის მონაცემთა ბაზა, რომელიც საკრედიტო რისკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვების საშუალებას იძლევა. ეროვნულ ბანკში მონაცემების მოწოდება ყოველთვიურად ხდება. 2025 წელს დაგეგმილია საკრედიტო რეესტრის მონაცემების საფუძველზე სექტორული კვლევის ანალიზი, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი სხვადასხვა რეპორტების გენერირება საკრედიტო რეესტრის მონაცემებიდან. ასევე, ავტომატური საზედამხედველო მექანიზმების შექმნა საკრედიტო რეესტრის მონაცემების დახმარებით.

## საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება

- ◆ მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასევე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკში აქტიურად ფუნქციონირებს საბაზრო ქცევის ზედამხედველობის მიმართულება, რომლის ძირითად ამოცანას ფინანსური სექტორის მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპების გაძლიერება წარმოადგენს. აღნიშნული კუთხით 2024 წელს შემუშავდა სხვადასხვა ინდიკატორი, რომელზე პერმანენტულ რეჟიმში დაკვირვება საშუალებას მოგვცემს წინასწარ დავაიდენტიფიციროთ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული შესაძლო რისკები და გამომწვევები დავგეგმოთ შესაბამისი საპასუხო ნაბიჯები. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა საბაზრო ქცევის ზედამხედველობის სტრატეგიის პროექტი, რომელიც საჯარო კონსულტაციებისთვის 2025 წელს გასაჯაროვდება. დამატებით, საბაზრო ქცევის ზედამხედველობის ფარგლებში 2024 წელს განხორციელდა რამდენიმე თემატური შემოწმება.
- ◆ 2024 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი განგრძობითად მუშაობდა საანგარიშგებო ჩარჩოს განვითარებაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ევროპის საანგარიშგებო ჩარჩოს და ადგილობრივი საზედამხედველო საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავდა FINREP ფინანსური ანგარიშგების უახლეს ტაქსონომიაზე გადასვლისთვის სამუშაოების დაწყებას.
- ◆ 2024 წელს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების მიზნით [საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 18 აპრილის №99/04 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ](#)

გამოყენებული ცალკეული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების წესი“. წესის მიზანია ხელი შეუწყოს საფინანსო სექტორის გამჭვირვალობას და აღნიშნულ სექტორში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის პრევენციას. აღნიშნული წესი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების და ეროვნული ბანკის წერილობითი მითითებების დარღვევის შემთხვევაში ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ცალკეული ღონისძიებების, კერძოდ, დაკისრებული სანქციების შესახებ ინფორმაციის ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების საკითხებს არეგულირებს, მათ შორის, წესი ადგენს კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მიმართ დაკისრებული სანქციების გამოქვეყნების მოთხოვნებს - ფულის გათეთრების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ფინანსური და საზღადაზმადველო ტექნოლოგიების განვითარებისა და ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად დაკისრებული სანქციების კონტექსტში, ხოლო რიგ შემთხვევებში, მაგალითად, კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ნაწილში - ფულადი ჯარიმების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. წესით გათვალისწინებული მოთხოვნები ეფუძნება რელევანტურ სექტორულ ევრო დირექტივებს, მათ შორის, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივას „საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობასთან წვდომისა და საკრედიტო დაწესებულებებისა და საინვესტიციო კომპანიების პრუდენციული ზედამხედველობის შესახებ“ (CRD Directive). წესის ამოქმედების თარიღად 2025 წლის 1 იანვარია განსაზღვრული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივ აქტზე მუშაობის პროცესი მაღალი გამჭვირვალობით წარიმართა, კერძოდ, აქტის პროექტი გამოქვეყნებული იყო საჯარო კონსულტაციებისთვის და დაინტერესებულ პირთა მიერ მიღებული ცალკეული მოსაზრებები გათვალისწინებული იქნა საბოლოო რედაქციაზე მუშაობისას.

- ✦ საბანკო სექტორის რეგულირების კუთხით, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ განსაზღვრულ პრინციპებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით, ისევე როგორც პრაქტიკაში გამოვლენილი ცალკეული რისკების შესამცირებლად 2024 წელს ცვლილება შევიდა კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებებში. ცვლილებების ფარგლებში გაფართოვდა კომერციული ბანკისთვის/მიკრობანკებისთვის აკრძალული რისკის პოზიციების ჩამონათვალი და დადგინდა, რომ კომერციულ ბანკს/მიკრობანკს ეკრძალება რისკის პოზიციების შექმნა, როდესაც აღნიშნული მიზნად ისახავს პირდაპირ ან არაპირდაპირ გარკვეული ტრანზაქციების დაფინანსებას, კერძოდ, იმავე კომერციული ბანკის/მიკრობანკის წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტის შექმნას, იმავე კომერციული ბანკის/მიკრობანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი როგორც აქციონერის, ისე შუალედური მფლობელისა და ბენეფიციარი მესაკუთრის, ან მაკონტროლებელი პირის ან იმავე ბანკის სათავო საწარმოს/საწარმოების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტის შექმნას და იმავე ბანკის შვილობილი კომპანიის ან იმავე ბანკის სათავო საწარმოს/საწარმოების შვილობილი კომპანიის წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტის შექმნას. აღსანიშნავია, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მსგავსად, აღნიშნული

ცვლილებაც საჯარო კონსულტაციების მიზნით ეროვნული ბანკის ვებგვერდზე იქნა გამოქვეყნებული და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ჰქონდა მოსაზრებებისა და კომენტარების ეროვნული ბანკისათვის გაზიარების შესაძლებლობა.

- ◆ 2024 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობდა მდგრადი დაფინანსების გზამკვლევიტ განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას. მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის ყველა იმ შესაძლო ღონისძიებას აერთიანებს, რომელთა გატარებაც ეროვნული ბანკის მიერ 2024 წლის ბოლომდე იყო დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ მდგრადი დაფინანსების პირველი გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ყველა ღონისძიების შესრულება 2024 წლის ბოლომდე განისაზღვრა. 2025 წლის დასაწყისში ეროვნული ბანკის [მდგრადი დაფინანსების მეორე გზამკვლევი](#) იქნა გამოქვეყნებული, რომელიც მომდევნო რამდენიმე წლის სამოქმედო გეგმას და განსახორციელებელ ღონისძიებებს აერთიანებს. გზამკვლევის მთავარი მიზანია, შექმნას სანდო, პროგნოზირებადი და სტაბილური რეგულატორული ჩარჩო, რომელიც ბაზარს მდგრად დაფინანსებაზე გადასვლისთვის მოამზადებს.
- ◆ მნიშვნელოვანი ეტაპი მიღწეულ იქნა 2024 წლის აპრილში, როდესაც ეროვნულმა ბანკმა SBFN-ის შეფასების 6-საფეხურიან სისტემაში, რომელიც SBFN-ის წევრი ქვეყნების მდგრადი დაფინანსების მიმართულებით მიღწეულ პროგრესს ასახავს, „დანინაურების“ საფეხურიდან „გადლიერების“ საფეხურზე გადაინაცვლა. საქართველო ერთ-ერთია იმ სამი წევრი ქვეყნიდან, რომელმაც მსგავსი მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა შეძლო. ეს დანინაურება ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შედეგია.
- ◆ კორპორაციული მართვის კოდექსით დაწესებული მოთხოვნის შესაბამისად, 2024 წელს კომერციულმა ბანკებმა ESG ინფორმაცია ეროვნული ბანკის შაბლონის გამოყენებით მეოთხედ გაამჟღავნეს. ფინანსური ინსტიტუტების მიერ 2021-2024 წლებში შევსებული შაბლონები ეროვნული ბანკის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. აღნიშნულ ანგარიშგებას ბანკები ყოველწლიურად ახორციელებენ, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ESG საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ინვესტორებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.
- ◆ 2024 წლის ოქტომბერში, ეროვნულმა ბანკმა [მდგრადი დაფინანსების რიგით მეოთხე ანგარიში გამოაქვეყნა](#). ანგარიშში წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციების, გატარებული პოლიტიკისა და სამომავლო გეგმების მიმოხილვა. კერძოდ, გაანალიზებულია ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები, აღწერილია მიმდინარე და უახლოეს პერიოდში დაგეგმილი პროექტები და შეჯამებულია კომერციული ბანკების მიერ ESG ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია საქართველოში მწვანე და მდგრადი ობლიგაციების გამოშვებისა და ზოგადად, კაპიტალის ბაზრის ტენდენციები მდგრადი დაფინანსების მიმართულებით.
- ◆ მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ფარგლებში 2022 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია და ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი (ტაქსონომიის რეგულაცია) დაამტკიცა. 2023 წლის 1 იანვრიდან ბანკები ვალდებული არიან ტაქსონომიის რეგულაციით

განსაზღვრული მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშების ფორმის გამოყენებით ეროვნულ ბანკს წარუდგინონ მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშგება. ასევე, ტაქსონომიის რეგულაციასთან შესაბამისად უნდა მოხდეს მწვანე/სოციალურ/მდგრად სესხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების ESG ანგარიშგებისა და გამჟღავნების ფორმაში. ამ ანგარიშების სიზუსტის უზრუნველსაყოფად და „greenwashing“-ის (არამწვანე პროექტის/პროდუქტის მწვანედ კლასიფიცირება) პრევენციისთვის, 2024 წელს ეროვნულმა ბანკმა 2023 წლის დეკემბერში წარდგენილ სასესხო პორტფელზე პირველი შეფასება ჩაატარა. შედეგების მიხედვით, მნიშვნელოვანი დარღვევები არ გამოვლენილა და „greenwashing“-ის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

- ◆ მდგრადი დაფინანსების საკითხებზე კოორდინაციისა და ინფორმაციის გაზიარების გაუმჯობესების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო დააფუძნა. საბჭოს წევრები საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები იქნებიან. საბჭოს ძირითადი ამოცანაა საბჭოს წევრებს შორის მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული და დაგეგმილი მარეგულირებელი პოლიტიკისა და აქტივობების კოორდინაცია და ინფორმაციის გაზიარება. ამ მიზნების მისაღწევად საბჭო უფლებამოსილია შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფები, რაც მდგრადი დაფინანსების საკითხების ანალიზისა და ტექნიკური დოკუმენტების შემუშავებისას ეფექტიან უწყებათაშორის კოორდინაციას უზრუნველყოფს. საბჭოს პირველი სხდომა 2025 წლის პირველ ნახევარში არის დაგეგმილი.
- ◆ მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ფარგლებში 2024 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, DSIK-თან თანამშრომლობით, ESG [რისკების რადარი](#) შეიმუშავა. აღნიშნული ანგარიში ეფუძნება და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს 2022 წლის კლიმატის რისკის რადარის მეთოდოლოგიას და ESG რისკების უფრო დეტალურ და გამჭვირვალე შეფასებას მოიცავს. ანგარიშში გამოყენებულია ESG რისკების შეფასების ბარათი (ESG Scorecard), რომელიც სპეციალურად საქართველოს ეკონომიკური სექტორებისთვისაა შექმნილი და აფასებს ფინანსური სექტორის ამ ეკონომიკური სექტორების მიმართ მონყვლადობას, როგორც ცალკეული ფინანსური ინსტიტუტის, ასევე, ფინანსური სისტემის დონეზე. კლიმატთან დაკავშირებული რისკების შეფასების გარდა, განახლებული მეთოდოლოგია სხვა ESG რისკებსაც ითვალისწინებს, როგორცაა ბიომრავალფეროვნების კარგვა და ადამიანის უფლებების პოტენციური დარღვევა. გარდა ამისა, [ESG საკითხების სახელმძღვანელოს](#) ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა DSIK-ის მხარდაჭერით, ESG დიუ დილიჯენსის (ESG DD ინსტრუმენტი) ინსტრუმენტი შეიმუშავა. ESG DD ინსტრუმენტი, ორმაგი მატერიალურობის პრინციპს ეფუძნება და სესხის სანყისი კატეგორიზაციის საფუძველზე მოცვის არეალით და სიღრმით განსხვავდება. ასეთი მრავალდონიანი მიდგომა დეტალურ შეფასებას უზრუნველყოფს, რომელიც სხვადასხვა ტრანზაქციის კატეგორიების სპეციფიკურ მახასიათებლებსა და რისკის ზემოქმედებას შეესაბამება. ESG რისკის რეიტინგები და რისკის

კატეგორიებში შესაბამისი გადანაწილება შემდგომში ESG რისკის მართვის პროცესში გამოიყენება.

- ✦ სტაბილურობის ხელშესაწყობად ეროვნულმა ბანკმა 2024 წლიდან, 2023 წლის მაისში ფინანსური სტაბილურობის კომიტეტზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სისტემური ბანკებისთვის დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნა (MREL) ამოქმედდა.

2021 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში ჩატარებული ფინანსური სექტორი შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში, გაიცა რეკომენდაციები, რომ ეროვნული ბანკის მიერ, სისტემური მნიშვნელობის მქონე კომერციული ბანკებისთვის, დაწესებულიყო არსებული რეზოლუციის ჩარჩოს მიხედვით გათვალისწინებული დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნა (MREL), რაც წარმოადგენს პროცენტულ მაჩვენებელს, რომელიც მიიღება დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების შეფარდებით საზედამხედველო კაპიტალსა და მთლიან ვალდებულებებთან. ამასთან, 2023 წლის დეკემბრიდან, კომერციული ბანკებისთვის სავალდებულო გახდა რეკაპიტალიზაციის მიზნით ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტების გამოყენების სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინება ისეთი კაპიტალის ინსტრუმენტების ხელშეკრულებებში, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ არიან დარეგულირებულნი უცხოური კანონმდებლობით, ანალოგიური მოთხოვნა ისეთი ვალდებულებების შემცველ ხელშეკრულებებში, რომლებზეც ვრცელდება [„რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 29 დეკემბრის №241/04 ბრძანებით დამტკიცებული წესი](#), კომერციული ბანკებისთვის ამოქმედდა 2024 წლის პირველი აპრილიდან. აღნიშნული მოთხოვნით განსაზღვრული პირობის ხელშეკრულებაში გათვალისწინება არ ახდენს გავლენას კრედიტორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ იერარქიაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგულაცია ემყარება ევროპის ბანკის გაჯანსაღებისა და რეზოლუციის დირექტივის (BRRD) ჩარჩოს მიერ გათვალისწინებულ საერთო პრაქტიკას. მოთხოვნის მიზანია, კრიზისული სიტუაციებისთვის, სისტემური ბანკების მიერ წინასწარ ბალანსის იმგვარი სტრუქტურის შექმნა, რომელიც ეროვნულ ბანკს, მისი მანდატის ფარგლებში, საშუალებას მისცემს ეფექტურად მოახდინოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი ბანკის რეკაპიტალიზაცია ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით. დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის (MREL) განაკვეთი, სისტემური კომერციული ბანკებისთვის, ქვემოთ მოცემული ოდენობით და ვადების შესაბამისად არის განსაზღვრული:

- 2024 წლის 1 იანვრიდან 10%-ის ოდენობით;
- 2025 წლის 31 დეკემბრიდან 15%-ის ოდენობით;
- 2027 წლის 31 დეკემბრიდან 20%-ის ოდენობით.

ფინანსური სტაბილურობის ხელშესაწყობად ეროვნულმა ბანკმა აღნიშნული მოთხოვნა სისტემური ბანკებისთვის 2024 წლიდან ამოქმედდა. 2024 წლიდან, მოთ-

ხოვნის შესაბამისად, სისტემური ბანკები ეროვნულ ბანკს შესაბამისი ფორმით ყოველთვიურად წარუდგენენ MREL ანგარიშგებას. 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით კომერციული ბანკების MREL-თან ადეკვატურობის მაჩვენებლები და სისტემაში MREL ინსტრუმენტები შემდეგნაირად გამოიყურება:

| GEL  | 31/12/2024     | 31/12/2024     | 31/12/2024     |
|--|----------------|----------------|----------------|
|  | <i>TBC</i>     | <i>BOG</i>     | <i>Liberty</i> |
| <b>MREL რესურსი</b>  | 7,461,723,910  | 7,167,681,654  | 611,926,287    |
| <b>საზედამხედველო კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები (TLOF)</b> | 36,596,101,538 | 37,340,205,565 | 4,811,671,210  |
| <b>%</b>   | <b>20.39%</b>  | <b>19.20%</b>  | <b>12.72%</b>  |

- ◆ საზედამხედველო კაპიტალის სტანდარტების მუდმივი მონიტორინგისა და დახვეწის კუთხით ეროვნული ბანკი 2024 წელს აქტიურად განაგრძობდა მუშაობას.

  - ძირითად პირველად კაპიტალში წლიური და შუალედური მოგების ჩართვის პრინციპების თაობაზე სამართლებრივი აქტის შესაბამისი ცვლილების პროექტზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს.
  - მაქსიმალური გასანაწილებელი ელემენტების (Maximum Distributable Amount – MDA) ცნებისა და დათვლის მეთოდის შემოღების მიზნით ეროვნული ბანკი მუშაობს სამართლებრივი აქტის ცვლილების პროექტზე.
- ◆ საბანკო ჯგუფის კონსოლიდირებული ზედამხედველობის მიზნებისთვის შესაბამისი ჩარჩოს შემუშავების მიზნით ეროვნული ბანკის მიერ გაანალიზებულ იქნება შესაბამისი ევროსტანდარტები და რელევანტური ქვეყნების პრაქტიკა. IMF-ის პარტნიორობით 2025 წელს იგეგმება ტექნიკური დახმარები მისია.
- ◆ რისკის პოზიციების საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით, ეროვნული ბანკი რამდენიმე მიმართულებით აწარმოებს კვლევით სამუშაოებს მარეგულირებელი ჩარჩოს შემდგომი განვითარებისთვის:

  - საკრედიტო რისკის შენონვის სტანდარტიზებული მიდგომის განახლება ერთ-ერთი კომპლექსური საკითხია. ეროვნული ბანკი ეტაპობრივად, პრაქტიკული საჭიროებებიდან გამომდინარე ანახლებს კონკრეტულ საკითხებს. ჩარჩოს გადახედვის მიზნით კვლევა დაწყებულია და მიმდინარეობს, თუმცა საკითხის კომპლექსურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით აღნიშნული საკითხის დამუშავება მეტ დროს მოითხოვს. ეროვნული ბანკი აღნიშნულ საკითხზე მუშაობას 2025 წელსაც განაგრძობს, ხოლო მიდგომის განახლება 2026 წელს იქნება მოსალოდნელი.
  - 2024 წელს დასრულდა მუშაობა და 2025 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა [„კონტრაჰენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ დებულება“](#). აღნიშნული დებულება ეფუძნება „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ და 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული მოთხოვნების შესახებ 575/2013 რეგულაციის მიერ დადგენილ კონტრაჰენტის რისკის მართვის ჩარჩოს. ახალი

დებულების მიზანია ქართულ საბანკო სექტორში დერივატივების გაზრდილი მოცულობით ფორმირებული რისკების მეტად მართებულად ასახვა და შესაბამისი მართვა. კერძოდ, აღნიშნული დებულების შემოღებით დერივატივების მართვის პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომა ჩანაცვლდა რისკებზე დაფუძნებული მიდგომით. ახალი დებულების ფარგლებში ტრანზაქციის კარგად უზრუნველყოფის და მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე კონტრაქტების შემთხვევაში ბანკებს შეუძლიათ შეამცირონ მოთხოვნილი კაპიტალი და პირიქით. კონტრაქტის რისკით შეწონილი აქტივების დათვლისთვის, აქტივებთან შეფარდებით დერივატივების წილიდან გამომდინარე, ბანკებს შეეძლებათ გამოიყენონ სამი მიდგომა: სტანდარტიზებული, გამარტივებული სტანდარტიზებული და მარტივის რისკის პოზიციის მიდგომა. განახლებული მიდგომა უფრო ზუსტად ასახავს როგორც დერივატივის ინჰერენტულ რისკებს, ასევე, კონტრაქტის საკრედიტო რისკს. კერძოდ, წარმოდგენილი ბრძანების პროექტით, რისკის პოზიციის დათვლა ითვალისწინებს, როგორც დერივატივის ვადიანობას, ტიპს, კონტრაქტის საკრედიტო რეიტინგს, საბაზრო რისკს, ასევე, სხვა ინჰერენტულ რისკებსა და მიტიგანტებს. დამატებით, ბრძანების პროექტი მოიცავს კონტრაქტის საკრედიტო რისკის განსაზღვრის 3 მეთოდოლოგიას დერივატივების მოცულობიდან გამომდინარე და აქტივებთან მიმართებაში დერივატივების მცირე მოცულობის შემთხვევაში კომერციულ ბანკს ან მიკრობანკს შესაძლებლობა ექნება გამოიყენოს შედარებით გამარტივებული მიდგომა. აღსანიშნავია, რომ ახალ დებულებაზე მუშაობა მიმდინარეობდა სექტორთან და საბანკო ასოციაციასთან კონსულტაციებით და შემუშავებული მოდელის დანერგვისთვის ბანკებს ჰქონდათ წელიწადზე მეტი დრო.

- მიმდინარეობს მუშაობა საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის ჩარჩოს განახლებაზე, სექტორის ჩართულობით.
- საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების დათვლის სტანდარტიზებული მიდგომის განახლების მიზნით მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები.
- ✦ ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ევროკავშირის სამართალთან, კერძოდ კი 2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წელს მიღებულ იქნა [„ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი](#). ზემოხსენებული კანონი ითვალისწინებს, რომ სექტორული ზედამხედველობის წესებისგან დამოუკიდებლად, ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობა კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჯის კუთხით შესაძლოა მოხდეს კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჯის დამატებითი მოთხოვნების გამოთვლის ცალკეული მეთოდების გამოყენებით. ამასთან, კანონი ითვალისწინებს აღნიშნული მეთოდების თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილებას. ამდენად, კანონით გათვალისწინებული ვადებისა და უფლე-

ბამოსილები ფარგლებში, ეროვნული ბანკის მიერ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობით შემუშავდა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცდა [„ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჯის დამატებითი მოთხოვნების გამოთვლის წესი“](#). წესის ფარგლებში კონკრეტდება და კიდევ უფრო ცხადი ხდება „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჯის დამატებითი მოთხოვნების გამოთვლის მეთოდები და მათი კომპონენტები. აღსანიშნავია, რომ წესის პროექტი საბანკო ასოციაციასთან და თავის მხრივ კომერციულ ბანკებთან იქნა საკონსულტაციოდ გაზიარებული. 2024 წელს საქართველოში ოპერირებადი არცერთი ჯგუფი არ ხვდებოდა ფინანსური კონგლომერატის დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში.

- ◆ სარეზოლუციო ფონდთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, 2024 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები, მათ შორის, საჯარო კონსულტაციების ჩართულობით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 2 სექტემბრის №228/04 ბრძანებით დამტკიცებული [„სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და ინვესტირების, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და წინასწარი შენატანის განხორციელების წესი“](#). საბანკო სექტორის მიერ 2025 წლის ჯამური წინასწარი შენატანი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით 37,798,407 ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 2 სექტემბრის №228/04 ბრძანებით დამტკიცებული „სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და ინვესტირების, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და წინასწარი შენატანის განხორციელების წესის“ დანართი №1-ით გათვალისწინებული მეთოდოლოგიის შესაბამისად წარმოადგენს დაზღვეული დეპოზიტების 2024 წლის ოთხი კვარტლის საშუალო მოცულობის 3%-ის მერვედს. სარეზოლუციო ფონდში წინასწარი ინდივიდუალური შენატანების თაობაზე აღნიშნული წესის შესაბამისად, შენატანების განხორციელება კომერციულმა ბანკებმა 2025 წლიდან დაიწყეს.

Ex-ante ფონდს ადმინისტრირებას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელსაც კანონის მიხედვით უფლება აქვს ფონდი ადმინისტრირებისთვის გადასცეს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს. 2025 წლის დასაწყისში, აღნიშნული მიზნით, ეროვნულ ბანკსა და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე, სარეზოლუციო ფონდში აკუმულირებული წინასწარი შენატანები, ყოველთვიურად ირიცხება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსათვის ეროვნულ ბანკში გახსნილ ანგარიშზე, ხოლო დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო უზრუნველყოფს ამ სახსრების ინვესტირებას მისი საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად.



სარეზოლუციო ფონდში, გარდა კომერციული ბანკების მიერ წინასწარი შენატანებისა, ხდება დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი სახსრების აკუმულირება (დროებითი სახელმწიფო დაფინანსების გამოყენების შემთხვევაში). ხოლო, რეზოლუციის რეჟიმის დასრულების შემდგომ და ფინანსთა სამინისტროს მიერ პროცესის ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში, სარეზოლუციო ფონდის გავლით ათვისებული სახელმწიფო სახსრები ანაზღაურდება მოქმედი კომერციული ბანკების მიერ, დადგენილი პირობებითა და პროპორციულობით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი (ე.წ. ex-post ფონდი).

- ◆ 2024 წელს დამტკიცდა [„სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და სისტემურობის ბუფერის განაკვეთის დადგენის წესი“](#). არსებული რეგულირების ცვლილების მიზანი იყო სისტემურობის განსაზღვრის მიდგომების მეტად დაახლოება EBA-ს მიდგომებთან და ამასთანავე ქართულ საბანკო სივრცეში არსებული გამოწვევების უკეთ ასახვა. კერძოდ, განახლებულ დებულებაში არსებული გამოწვევების უკეთ ასახვის მიზნით, კომპლექსურობის კრიტერიუმს დაემატა არაორგანიზებულ ბაზრებზე დადებული დერივატივების ინდიკატორი და კრიტერიუმების ჭრილში ინდიკატორების წონები თანაბრად განაწილდა. დამატებით, ქართულ ბაზარზე არსებული მაღალი კონცენტრაციის გათვალისწინებით, საბანკო სისტემაში კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, დეპოზიტების წილის 40%-იან ზღვარს დაემატა შემდეგი 2%-იანი ბიჭებიც, რომელიც დამატებით უზრუნველყოფს ბაზარზე კონცენტრაციის მიტიგაციას. ასევე, შემოღებული იქნა სისტემურობის მაქსიმალური ბუფერის ლიმიტი 5%-ის ოდენობით.
- ◆ 2024 წლის განმავლობაში, განხორციელდა BRRD დირექტივასთან ქართული სარეზოლუციო ჩარჩოს შესაბამისობის ანალიზი. შემუშავდა შესაბამისობის ცხრილი, ასევე, ძირითადი თემების მიხედვით მომზადდა შემაჯამებელი დასკვნები, რომელშიც გამოკვეთილია არსებითი განსხვავებები და სამომავლოდ შესაცვლელი/გასაუმჯობესებელი საკითხები, როგორცაა: ჯგუფის რეზოლუცია, MREL მოთხოვნის შემდგომი დახვეწა და მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, სარეზოლუციო ფონდის გამოყენება (წინაპირობები და მიზნობრიობა), დროებითი სახელმწიფო დაფინანსების როლი რეზოლუციის რეჟიმში და ა.შ. სამომავლოდ, ეროვნული ბანკი გეგმავს ამ საკითხებზე მუშაობის გაგრძელებას ექსპერტული დახმარების ჩართულობით, რომლის დასკვნების საფუძველზეც შემუშავდება კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილების პროექტები.

## ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა

- ◆ საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ხელს უწყობს საბანკო სექტორის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით, ლუქსემბურგის საფინანსო ტექნოლოგიების გადაცემის კვლევითი სააგენტოს ექსპერტებმა 2024 წელს თბილისში ჩაატარეს 2 ტრენინგი, ხოლო დისტანციურად - 2 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ეროვნული ბანკის, ასევე, კომერციული ბანკების თანამშრომლებმა. ჯამში სემინარებს დაესწრო 66 მონაწილე.

- ◆ ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების ერთ-ერთ მთავარ მიზანს კვლავ წარმოადგენდა გუნდური სულისკვეთების ამაღლება და შიდა კომუნიკაციების გაძლიერება. შესაბამისად, ამ მიმართულებით დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი როგორც დისტანციური, ისე ტრადიციული ტიპის ღონისძიება.
- ◆ ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს საზედამხედველო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამარტივებასა და შესაბამისი პოლიტიკა-პროცედურების შემუშავებაზე. აღნიშნული, მათ შორის, წარმოადგენდა FSAP პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან მიღებულ რეკომენდაციას, კერძოდ, საზედამხედველო მიმართულებით უფლებამოსილების დელეგირების საკითხების დარეგულირების სარგებელის მხრივ. სწორედ FSAP პროგრამის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე, 2024 წელს დამტკიცდა „საბანკო და არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის ძირითად საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წესი“, რომელიც მიზნად ისახავს ძირითად საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა დონის, შესაბამის დონეზე განსახილველი საკითხების ჩამონათვალისა და პროცესში ჩართული პირების უფლებებსა და პასუხისმგებლობების განსაზღვრას. გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა დონის განსაზღვრის მიზანია, საზედამხედველო პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას, საკითხის კომპლექსურობისა და მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, პასუხისმგებლობის სათანადოდ გადანაწილებისა და გადაწყვეტილების მიღების დაბალანსებული სისტემის უზრუნველყოფა.
- ◆ ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილ გამოწვევებზე საპასუხოდ განხილვების პროცესებში ყველა პასუხისმგებელი მიმართულების მაქსიმალური ჩართულობა და ოთხი თვალის პრინციპი ეროვნული ბანკის საქმიანობის არსებითი შემადგენელი ნაწილია. ზედამხედველობის პროცესში წახალისებულია გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება.
- ◆ გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობისათვის, გასული წლების მსგავსად, 2024 წლის განმავლობაში საჯარო კონსულტაციების გამართვის მიზნით, ეროვნული ბანკის ვებგვერდზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული არაერთი ცვლილებისა თუ რეგულაციის პროექტი გამოქვეყნდა, რომლებზეც ფართო საზოგადოებას შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაზიარების შესაძლებლობა მიეცა. ყველა მნიშვნელოვანი პროექტი საჯარო ან სექტორთან კონსულტაციების ფარგლებში იქნა განხილული [„სექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო კონსულტაციების გამართვის სახელმძღვანელოს“](#) მიხედვით.

## გამოყენებული ტერმინები და აბრევიატურები

**ESG (Environmental, Social, Governance)** – მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ფარგლებში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები.

**XBRL (Extensible Business Reporting Language)** – ბიზნეს ანგარიშგების გაფართოებადი ენა, რომელიც წარმოადგენს საზედამხედველო ანგარიშგებების მიმოცვლის საერთაშორისო სტანდარტს.

**გაჯანსაღების გეგმა** – კომერციული ბანკის მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც სხვა ელემენტებთან ერთად მოიცავს მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შექმნისას კომერციული ბანკის მიერ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს.

**დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის (MREL – Minimum Requirements for own funds and Eligible Liabilities)** – საზედამხედველო კაპიტალისა და მთლიანი ვალდებულებების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც უნესდებათ კომერციულ ბანკებს, რათა რეზოლუციის რეჟიმის ამოქმედების შემთხვევაში ეფექტურად მოხდეს ბანკის რეკაპიტალიზაცია.

**მაკროპრუდენციული პოლიტიკა** – სისტემური რისკების დაგროვების თავიდან აცილების, კრიზისის ალბათობის შემცირებისა და მთლიანი ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის შემუშავებული პოლიტიკა და შესაბამისი ღონისძიებები.

**მოდულარული საბანკო მოდელი** – საბანკო საქმიანობის მოდელი, რომლის მიხედვითაც საბანკო ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია ცალკეული საქმიანობების მიხედვით ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მოდულებად, რომელთა ჩანაცვლება შედარებით ნაკლებ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

**რეგულირების ლაბორატორია (სენდბოქსი)** – ინოვაციური ფინანსური სერვისის ან/და პროდუქტის სატესტო გარემოში გამოსაცდელად შექმნილი პირობებისა და პროცედურის ერთობლიობა.

**რეზოლუცია** – კომერციული ბანკისათვის ლიცენზიის გაუქმების საფუძვლების დადგომის შემთხვევაში, ლიკვიდაციის ალტერნატივა, რაც გულისხმობს რეგულატორის მიერ კომერციული ბანკის იმგვარად რესტრუქტურირებას, რომ საფრთხე არ შეექმნას ფინანსურ სტაბილურობას.

**რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობა/პრინციპები** – ზედამხედველობის რეჟიმი/პრინციპები, რომელიც გულისხმობს მეტი საზედამხედველო რესურსის მიმართვას მეტად კომპლექსური ან/და რისკიანი ინსტიტუტებისა თუ ტრანზაქციების მიმართულებით.

**რისკის ანალიტიკური ცხრილები (dashboards)** – საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების გრაფიკული გამოსახულება, რომელიც ამარტივებს კომპლექსური მონაცემების აღქმას და საშუალებას აძლევს მის მომხმარებელს მარტივად მიიღონ ინფორმაცია ბიზნეს საქმიანობების ან კონკრეტული პროცესების შესახებ.

**რისკის პოზიციები** – საბალანსო ან გარესაბალანსო ელემენტები, რომელზეც ფინანსურ ინსტიტუტს აქვს მოთხოვნა.

**საზედამხედველო კაპიტალი** – კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება ფინანსური ინსტიტუტებისათვის ზედამხედველის მოთხოვნით და ემსახურება პოტენციური ზარალების განეიტრალებას.

**სუპტექ (suptech) ინსტრუმენტები** – საზედამხედველო ტექნოლოგიები, რომელიც გულისხმობს ზედამხედველობის პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენებას საზედამხედველო ორგანოების მიერ.

**ფასს (IFRS – International Financial Reporting Standards)** – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

**ფასს 9 (IFRS 9)** – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებასთან, აღიარების შეწყვეტასთან, შეფასებასა და გაუფასურებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

**ფინანსური ინოვაციების ოფისი** – საქართველოს ეროვნულ ბანკს და ფინტექსტარტაპებსა და ფინანსური სექტორით დაინტერესებულ ტექნოლოგიურ კომპანიებს შორის კომუნიკაციის საშუალება, რომლის მიზანია საზედამხედველო თემატიკის კითხვებზე პირდაპირი უკუკავშირის მიღება-გაცემა, ფინანსურ სექტორში პასუხისმგებლიანი ინოვაციების ხელშეწყობა და ფინტექსტარტაპების/სტარტაპების დახმარება ეროვნული ბანკის რეგულაციებისა და საზედამხედველო მიდგომის გაცნობიერებაში.

**ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა (FSAP – Financial Sector Assessment Program)** – საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და მსოფლიო ბანკის (World Bank) ერთობლივი პროგრამა, რომლის მიზანია ქვეყნის ფინანსური სექტორის მდგრადობის, მარეგულირებელი და საზედამხედველო ჩარჩოს ხარისხის და ფინანსური კრიზისების მართვის შესაძლებლობების შეფასება.

**ღია ბანკინგი** – ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციისა და სერვისების ელექტრონულად მყისიერი მიმოცვლა.

**ღია რეგულირების პრინციპები** – რეგულირების მოთხოვნების ცვლილების განხილვა, ინდუსტრიასთან დიალოგზე ღიაობა, რომელიც თავსებადია ეროვნული ბანკის განცხადებულ რისკის აპატიტსა და საზედამხედველო პრინციპებთან.

**ციფრული ბანკინგი** – ბანკის ბიზნეს მოდელი, რომელიც საბანკო სერვისების მიწოდებას ძირითადად ელექტრონული არხებით ახორციელებს და ადგილობრივ ბაზარზე მატერიალურად ახალ და ინოვაციურ ფინანსურ ტექნოლოგიებს იყენებს.

**NGFS (Network for Greening the Financial System)** – ქსელი ფინანსური სისტემის “გამწვანებისთვის”.

**IFC (International Finance Corporation)** – საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.

**EBA (European Banking Authority)** – ევროპის საბანკო უწყება.

**EBRD (European Bank for Reconstruction and Development)** – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი



ლიცენზირებასთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ეროვნულ ბანკს შემდეგ ელ-ფოსტაზე მიმართონ:

- საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღებით დაინტერესებული პირების შემთხვევაში - შემდეგ მისამართზე: [BankingLicense@nbg.gov.ge](mailto:BankingLicense@nbg.gov.ge)
- ციფრული ბანკის ლიცენზიის მიღებით დაინტერესებული პირების შემთხვევაში - ბანკის ფინანსური ინოვაციების ოფისი: [InnovationOffice@nbg.gov.ge](mailto:InnovationOffice@nbg.gov.ge)

 +995 322 406 406

 [info@nbg.gov.ge](mailto:info@nbg.gov.ge)

 <https://www.nbg.gov.ge>